26 მაისი

ქართველთა
დამოუკიდებლობის
დღესასწაული


საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

[illegible]

წინ, საბოლოო გამარჯვებისკენ!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 25 მაისი. 2022 წ. №65 (9403) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

სალომე ზურაბიშვილი:

გლობალიზებულ სამყაროში გამოწვევებიც უფრო გლობალური გახდა!

②

საქართველო, როგორც ხიდი ევროპასა და აზიას შორის, ჩართულია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონთან ინტენსიურ თანამშრომლობაში ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის ახალი პროექტების განვითარებისთვის

სტოლტენბერგი:

როცა რუსეთი კვლავ შეიჭრა უკრაინაში, ნატო უკვე მზად იყო!..

უკრაინაზე რუსეთის თავდასხმა მრავალი წლის განმავლობაში რუსეთის ქცევის ნაწილია, როდესაც მოსკოვი თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სამხედრო ძალას იყენებს – გროზნოს განადგურება, საქართველოში შეჭრა, ყირიმის ანექსია, ალეპოს დაბომბვა, ახლა კი ომი უკრაინაში, – განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას.

„2014 წელს უკრაინაში პირველი შეჭრის შემდეგ, ნატო ადაპტაციასა და მომზადებას გადის. ჩვენ გავზარდეთ თავდაცვის ხარჯები და თანამედროვე შესაძლებლობებში ინვესტიცია ჩავდეთ.

ჩვენ ისტორიაში პირველად განვათავსეთ საბრძოლო ჯგუფები ჩვენი ალიანსის აღმოსავლეთ ნაწილში. გავზარდეთ ჩვენი ძალების მზადყოფნა და თავდაცვის ახალი სფეროები შეიქმნა, მათ შორის კოსმოსური და კიბერსივრცე.

როდესაც რუსეთი კვლავ შეიჭრა უკრაინაში, ნატო უკვე მზად იყო“, – აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

ირაკლი ღარიბაშვილი:

საქართველო რეგიონულ ფინანსურ ჰაბად გარდაიქმნება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი „სიტიბანკის“ საბანკო, კაპიტალის ბაზრებისა და მრჩეველთა თავმჯდომარის მოადგილე ჯეი კოლინზთან შეხვედრას სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ გამოეხმაურა. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ჯეი კოლინსთან შეხვედრაზე საქართველოს უპირატესობები და ბიზნესის კეთების სიმარტივე განიხილა. მთავრობის მეთაურის თქმით, რეგიონულ ფინანსურ ჰაბად საქართველოს გარდაქმნა მალე მოიტანს ხელშესახებ შედეგებს. დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის პარალელურად პრემიერმა მრავალი შეხვედრა გამართა.

ხმალზე უფრო ძლიერად ჭრის. პატარა და რბილი ენა

ირაკლი კობახიძემ ოპოზიცია ბოლომდე მიჭირხვნა!

②

ნაცების ახალი ინიციატივა

„კუდი ძაღლისა არ განემართების!..“

④

სად - ერეკლე და - სად... ლევანა ბერძენიშვილი,

ანუ, სად - თავისუფალი მედია და სად - ნიკა გვარამია!..

③



სალომე ზურაბიშვილი:

გლობალიზებულ სამყაროში გამოწვევებიც უფრო გლობალური გახდა!

საქართველო, როგორც ხიდი ევროპასა და აზიას შორის, ჩართულია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონთან ინტენსიურ თანამშრომლობაში ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის ახალი პროექტების განვითარებისთვის

ძალბატონო ალმასრულებელო მდივანო, პატივცემულო საზოგადოებავ!

დიდი პატივია მოგმართოთ გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანეთის ეკონომიკური და სოციალური კომისიის 78-ე სესიის მონაწილეებს და მოგილოცოთ კომისიის დაარსების 75-ე წლისთავი.

ვიღებთ რა მხედველობაში წლების განმავლობაში მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს, ახლა საჭიროა, იმ ახალი და სერიოზული გამოწვევების გადაჭრა, რომლებიც რეგიონსა და მსოფლიოში იჩენენ თავს.

გლობალიზებულ სამყაროში გამოწვევები უფრო გლობალური გახდა.

პირველ რიგში, COVID პანდემიითა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეულმა კატასტროფებმა გამოავლინა ჩვენი საზოგადოებების დაუცველობა და გამოსცადა მათი გამძლეობა.

ახლა, როდესაც პანდემიიდან გამოსვლა ხდება, ახალმა გლობალურმა კრიზისმა იფეთქა.

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ შედეგად ადამიანური და ჰუმანიტარული ტრაგედია მოიტანა — ათასობით დაკარგული სიცოცხლე, ურბანული ცენტრებისა და ეკონომიკის მსხვილი სეგმენტის განადგურება, მილიონობით მოსახლეობის გადაადგილება.

ამავდროულად, უკრაინის ფარგლებს სცილდება ნეგატიური ეფექტები და შეფერხებები, რომლებიც გავლენას ახდენენ გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანეთის ეკონომიკური და სოციალური კომისიის ბევრი წევრის ზრდაზე; საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების, კერძოდ, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის ან საზღვრების ხელშეუხებლობის უგულებელყოფა, არ შეიძლება პირდაპირ არ ეწინააღმდეგებოდეს მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაციის მიღწევებს.

ენერგეტიკული და სახმელეთო ინფრასტრუქტურა, რომელიც ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის ხიდის როლს ასრულებდა, ნაწილებად იშლება. საგულისხმოა ასევე, სასურსათო და სხვა მიწოდების ჯაჭვების შეფერხების შედეგები.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს სიღარიბისა და უთანასწორობის ზრდას გამოიწვევს და საფუძველს გამოაცლის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას. ეს მხოლოდ ხაზს უსვამს გადამწყვეტი მოქმედებების აუცილებლობას, ომის რაც შეიძლება სწრაფად დასასრულებლად. ომი ასევე ხაზს უსვამს ალტერნატიული სატრანსპორტო სისტემების სწრაფი განვითარების აუცილებლობას, ევროპასა და აზიას შორის მიწოდების ჯაჭვების შესანარჩუნებლად. მიუხედავად მის სამეზობლოში არსებული გამოწვევებისა, საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, როგორც ხიდი ევროპასა და აზიას შორის და ძველ აბრეშუმის გზაზე მდებარე ქვეყანა, ჩართულია ინტენსიურ თანამშრომლობაში აზია-წყნარი ოკეანის რეგიონთან ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის ახალი პროექტების განვითარებისათვის.

გეოპოლიტიკური კონტექსტი კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს როლს, როგორც კარიბჭეს აზიისაკენ და როგორც არსებით სატრანზიტო-ლოჯისტიკურ ჰაბს, არსებით რგოლს შუა დერეფანში არხის გავლით საქონლის გადაადგილებისთვის, რომელიც შავ ზღვას, კავკასიას და ევრაზიის კონტინენტს აკავშირებს.

ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე ახალი ისტორიული მიღწევის ფონზე, საქართველო ცდილობს განავითაროს თავისი კავშირები აზიის ეკონომიკებთან, განსაკუთრებით, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებითა და გაზრდილი თანამშრომლობით.

ამ რთულ პერიოდში, გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანეთის ეკონომიკური და სოციალური კომისიის როლი კიდევ უფრო გადამწყვეტია მდგრადი განვითარების მიზნებისათვის წინსვლის, ახალი გამოწვევების გადაჭრისა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ურთიერთმოქმედებისა და თანამშრომლობის გააქტიურებაში.

პროდუქტიულ და წარმატებულ სესიას გისურვებთ!

ნათია თურნავა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატია

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა სებ-ის საბჭოს წევრად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრის ნათია თურნავას კანდიდატურა წარადგინა.

როგორც პარლამენტში, ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, აღნიშნულ საკითხზე წამყვანი კომიტეტი იქნება პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, ხოლო სავალდებულო დასკვნა დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა უნდა წარმოადგინოს.

ეროვნული ბანკის შესახებ კანონის მიხედვით, სებ-ის საბჭო 9 წევრისგან უნდა შედგებოდეს. ამჟამად საბჭოში 7 წევრია, შესაბამისად ორი პოზიცია ვაკანტურია. ნათია თურნავა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის თანამდებობას 2019 წლის აპრილიდან 2022 წლის 9 თებერვლამდე იკავებდა.

ირაკლი კობახიძემ ოპოზიცია ბოლომდე მიჭირხვნა!

„კიდევ ერთხელ მინდა გამოვეხმაურო რადიკალური ოპოზიციის, მისი კუთვნილი მედიასაშუალებების, მისი კუთვნილი სახალხო დამცველისა და მისივე კუთვნილი ენჯეოების მიერ წარმოებულ ანტიდასავლურ კამპანიას, რომელიც გვარამიას საქმის განმხილველი მოსამართლის თემას უკავშირდება. როგორც მოგეხსენებათ, რადიკალურმა ოპოზიციამ ამერიკის საელჩოს დისკრიმინაციაში, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფასა და არაფორმალური მმართველობის მცდელობაში დასდო ბრალი. იმაზე არაფერს ვამბობ, რომ შესაბამისი ქმედება არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული“, — განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი კობახიძემ პარლამენტში გამოსვლისას.

* * *

„ამერიკელი დიპლომატებისთვის სისხლის სამართლის დანაშაულის დაბრალება, რბილად რომ ვთქვათ, უკიდურესად უპასუხისმგებლო აქტია. ერთი წამით წარმოიდგინეთ, მსგავსი რამ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს რომ გაეკეთებინა — რომელიმე მოსამართლე რომ დაებარებინა და თუნდაც, მისთვის საკამათო გადაწყვეტილების გამო, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რომელიმე სემინარიდან ან კონფერენციიდან მოეხსნა. წარმომიდგენია, რამხელა აყიოტაჟს შექმნიდნენ ზუსტად იგივე ფაქტის გამო იგივე სუბიექტები. არავითარი ფაქტი არ აქვთ და მოსამართლეებს „კლანს“ უწოდებენ. თქვენ წარმოიდგინეთ, მათ თუნდაც ერთი ასეთი ფაქტი რომ ჰქონდეთ, მერე რას იზამდნენ. არსებობს ასეთი გამონათქვამი — **ყველა საპუთარი გარყვნილების შესაბამისად აზროვნებს.** რადიკალური ოპოზიციაც, თავისი შიდა და გარე სპიკერებით, ზუსტად ასე იქცევა. ჰგონიათ, რომ ამერიკის საელჩოც ისე მოიქცევა, როგორც ისინი მოიქცეოდნენ. მოსამართლეზე ზეწოლა არის „ნაციონალური მოძრაობის“ ხელწერა და მეთოდი, რომელსაც ისინი 2004-12 წლებში აქტიურად მიმართავდნენ და ახლა იმავეში ამერიკის საელჩოს სდებენ ბრალს. „ნაცმოძრაობასა“ და მის შიდა და გარე სპიკერებს მინდა ვკითხო, გასაგებია, რომ თომას ჯეფერსონის ღირებულებებიდან ძალიან შორს არიან, მაგრამ ამ კაცის სახელი და გვარი მაინც უნდა ჰქონდეთ გაგონილი. როგორ დაუშვეს, რომ დიპლომატებს თომას ჯეფერსონის ქვეყნიდან ასეთი რამის გაკეთება შეეძლოთ. ბუნებრივია, ამერიკის საელჩო „ნაციონალური მოძრაობის“ მეთოდებით მოქმედებას — მოსამართლის დისკრიმინაციას, სასამართლოს დამოუკიდებლობაში ჩარევასა და არაფორმალური მმართველობის მცდელობას არასოდეს იკადრებდა. მე ამის ღრმად მწამს. ან ის რატომ ჰგონიათ, რომ ამერიკაში წასვლა-არწასვლის გამო რომელიმე მოსამართლე ვინმემ გავლენის ქვეშ შეიძლება მოაქციოს? ვინმეს მართლაც რომ ეკადრა მოსამართლისთვის ვიზიტის გაუქმება, დარწმუნებული ვარ, ეს, პირიქით, უკუშედეგს გამოიღებდა და ვიზიტს სხვა მოსამართლეებიც გააუქმებდნენ. საქართველოში კარგად იციან ღირსებისა და კოლეგიალობის ფასი და დარწმუნებული ვარ, კოლეგა მოსამართლის დისკრიმინაციის ფონზე, ამერიკაში წასვლას არცერთი სხვა მოსამართლე აღარ იკადრებდა“!..

„2017-19 წლებში, სამწუხაროდ, ჩვენ არ დავიცავით მოსამართლე თამაზ ურთმელიძე, ისევე, როგორც, „რუსთავი 2-ის“ საქმის განმხილველი დანარჩენი 12 მოსამართლე, გვარამიასა და „ნაცმოძრაობის“ სხვა სპიკერების ბულინგისგან. ბოლოს თამაზ ურთმელიძე ისევ სტრასბურგის სასამართლოს დასაცავი გახდა, რომელმაც გვარამიას მხრიდან მისი ბულინგი უმკაცრესად დაგმო. ეს მეორედ აღარ უნდა დავუშვათ. კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ ნებისმიერი მოსამართლე, რომელიც გახდება თავდასხმის ობიექტი, მიიღებს სათანადო დაცვასა და მხარდაჭერას ხელისუფლებისგან. ბოლოს, მინდა ამერიკის საელჩოს მივმართო თხოვნით. მესმის, რომ ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხის გაცემაც კი უხერხულობას ქმნის. ამერიკის საელჩოს მხრიდან უხერხულიც კი იქნება საუბარი იმაზე, რომ სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია, დისკრიმინაცია არ განუხორციელებია, ქართული სასამართლოს დამოუკიდებლობაში არ ჩარეულა და არაფორმალური მმართველობა არ უცდია. თუმცა, სპეკულაციები გრძელდება და ამ სპეკულაციებს ამერიკის საელჩოს ერთი მცირე განცხადება მარტივად დაასრულებდა. თუ საელჩო შესაბამის განცხადებას არ გაავრცელებს, რაც ჩვენთვის სრულიად გასაგები იქნება, ქართველ საზოგადოებას სრული უფლება ექნება მიიჩნიოს, რომ საუბრები მოსამართლის დისკრიმინაციის შესახებ რადიკალური ოპოზიციის მორიგი დემაგოგია და სპეკულაცია იყო“.

შალვა პაპუაშვილი:

ოპოზიციისთვის ყველა მიზეზი კარგია, რომ ვითარება არიონ!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის განცხადებით, რადიკალური ოპოზიცია არაფერს თაკილობს მთავარი მიზნის — ქვეყნის ევროინტეგრაციაში ხელის შეშლისა და ქვეყანაში დესტაბილიზაციის მისაღწევად.

„კულუარული ინფორმაციის ქონაც არ სჭირდება — დააკვირდით მათ საუბარს, მათ ჩართვებს ბრიუსელიდან. პირველი თემა, რითაც ისინი საუბარს იწყებენ, არის ხელისუფლების კრიტიკა და ის, თუ როგორ არ იმსახურებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება რაღაცებს. სადაც ჩართვებში ამაზე საუბრობენ, რა თქმა უნდა, მათთვის, მთავარია, ეს ბერკეტი გამოიყენონ იმისთვის, რომ საქართველოში ვითარება გარკვეულწილად არიონ. მათთვის არ არსებობს არცერთი საკითხი, რომელსაც ისინი თაკილობენ. ადამიანური ტრაგედიით დაწყებული და ქვეყნის ევროპული პერსპექტივით დამთავრებული, მათთვის ყველა მიზეზი კარგია, რომ საქართველოში ვითარება არიონ და დემოკრატიული გზის გვერდის ავლით, რამენაირად, დაიბრუნონ ის აბსოლუტური ძალაუფლება, რომელიც მათ ჰქონდათ“...

საღ – ერეკლე და – საღ... ლევანა ბერძენიშვილი,

ანუ, საღ – თავისუფალი მედია და საღ – ნიკა მკვარამია!..

ეს რამდენიმე დღეა ე.წ. „კრიტიკულ არხებზე“ ვხედავთ, თუ როგორ ქვითინებენ ე.წ. პოლიტიკოსები, „ენჯოზნიკები“ და ვითომ ჟურნალისტები გვარამიას დაპატიმრებით საქართველოს ევროპული არჩევანის დაპარგვის გამო. როგორი სიხშირით იმეორებდნენ სიტყვა „საზოგადოებას“.

არა, ბატონებო, ის ხალხი, ვინც თავს დაესხა „იმედის“ ჟურნალისტს, ის ხალხი, ვინც ადამიანს გაგზეთი „ასავალ-დასავალი“ წაგლიჯა და დახია, ის ე.წ. სახალხო დამცველი, რომელმაც შუშის თვალებით და რობოტის ხმით განაცხადა, რომ „ამ ქმედების შეფასება მისი პრეროგატივა არ არის“, საზოგადოებას არ წარმოადგენს, არც არასდროს ყოფილა და ვერც იქნება!

საზოგადოება ვერ იქნება ის ხალხი, ვინც ვითომდა გვაშინებს იმ ნაცლობისტებით, რომლებიც კანტიკუნტად არიან დასავლურ სტრუქტურებში და რაღაც სისულელეების წერით ერთობიან.

ირაკლი კობახიძე ამ რამდენიმე დღის წინ გამოეხმაურა „იმ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ ტოლობის ნიშანი დასვან გვარამიას არდასჯასა და საქართველოს ევროპულ პერსპექტივას შორის. მათ პასუხად მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ევროკავშირი არ არის კორუფცია, ძარცვა და უსამართლობა, არამედ ევროკავშირი სწორედ სამართლის უზენაესობა და კორუფციისგან თავისუფალი საზოგადოებაა. შესაბამისად, სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“, ენჯეოები, გვარამია და მათი უცხოელი ლობისტები არიან, თავისი არსით, ანტიევროკავშირი“.

დიახ, ზუსტადაც რომ „ანტიევროკავშირია“ ის ხალხი, ვისაც არ ესმის, რომ „საქართველო არის სამართლებრივი სახელმწიფო, აქ უზრუნველყოფილია სამართლის უზენაესობა, კანონის უზენაესობა, კრიმინალი იჯდება ციხეში, ვინც არ არის კრიმინალი, ის იქნება გარეთ და ა.შ. ეს არის მარტივი პრინციპები, რომელიც მოქმედებს ჩვენს ქვეყანაში და ვერავინ გადაგვახვევინებს ამ პრინციპებიდან. ჩვენ მიჩვეული ვართ, რომ ერთი და იგივე გვარები, მათ შორის უცხოელი ლობისტები მუდმივად ხელს აფარებენ კრიმინალს და კრიმინალებს. ეს არის სამწუხარო მოვლენა, თუმცა საქართველო არის სახელმწიფო და იდგება იმ პრინციპებზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“.

და ისევ სრული მარაზმი. თანაც მდაბიო მარაზმი, რასაც ვხედავთ ამ გაჭინთული ხალხის, ვითომდა თავისუფლებისთვის თავდადებულ მებრძოლთა მხრიდან.

ხალხი თავიანთი მდაბიო აზროვნებით ვერ წვდება იმ მართლაც დიდ წოდებას, რასაც პოლიტპატიმარი ჰქვია.

პოლიტპატიმარი ვერ იქნება ვინმე ბაცაცა, ხაზინის ქურდი, თაღლითი, ხულიგანი ან მანიაკი.

პოლიტპატიმარი სხვა სტატუსია, სხვა რანგია. კატოვსკი, მიუხედავად მისი რევოლუციური მიდრეკილებებისა, ჩვეულებრივი ბანდიტი და ყაჩაღი იყო.

პოლიტპატიმარს აბსოლუტურად სხვა გზა და სხვა მენტალობა აქვს. ის სასამართლოზე არ დაიწყებს უაზროდ, საკუთარი თავის დამამცირებლად მოქცევას და მითუმეტეს პატიმრობის დროს.

არც სასამართლოს წინ თავის გულშემატკივრებთან ერთად არ ატეხავს ისტერიკას. მდარე ისტერიკას, როგორც მაგალითად ატეხეს მისმა „გულშემატკივრებმა“ ტვ „იმედის“ ჟურნალისტის და კამერის წინაშე.

არ დაიწყებს უაზრო ქადილს და არც სხვას მისცემს უფლებას, ყალბი პათოსებითა და ლოზუნგებით თავი დაამცირებინოს.

სწორედ ეს ყალბი მატრაკვეცობა, ისტერიული წიკვინი და ტრაბახი ხალხში თანაგრძნობის ნაცვლად დაცინვას იწვევს.

ხომ იძახიან, რომ პოლიტიკური პროცესი იყო, რომ ხელისუფლება მჩაგვრელია და ისე განკარგავს სასამართლოს, როგორც უნდა. ხომ იძახიან, რომ პრეზიდენტი არალეგიტიმურია – მაშინ ნუღა ითხოვ შეწყალებას. ნუ აღვარღვარებ ცრემლებს, ნუ იმცირებ თავს.

პოლიტპატიმრები არ ცდილობენ ხელისუფლებისთვის თავის შეცოდებას. ამაყად იდგა ფედერიკო გარსია ლორკა. ამაყად იდგა მერაბ კოსტავა.

ჰოდა, თუ პოლიტპატიმარი ხარ, ამაყად ასწიე თავი და ამ სიამაყით იბრძოლე.

მაგრამ დათა თუთაშხიას სიტყვებს ოდნავ შევცვლი და ვიტყვი: ის კაცები არ ხართ თქვენ, სიამაყე რომ გქონდეთ. მტირალა, ისტერიკა დედაკაცები ხართ და ამიტომ ვერასდროს ვერ გაიმარჯვებთ.

სამწუხაროდ, დასავლეთელი ლობისტები უკვე აღარ მალავენ თავიანთ ცალმხრივ დამოკიდებულებას საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ და აშკარად აფიქსირებენ ნაცების მიმართ თავიანთ მხარდაჭერას.

კელი დეგნანი: როდესაც საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავების უპრეცედენტო შესაძლებლობა აქვს, სისხლის სამართლებრივი დევნის პოლიტიზირებულად აღქმაც კი ზიანის მომტანია.

უკაცრავად, მაგრამ ძალიან გაუგებარია ის, რომ ქალბატონი ელჩის აზრით დანაშაულის ჩამდენი პირისთვის, რომელიც პოლიტიკურ ძალასთან დაახლოებულია, მისთვის კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება სისხლის სამართლებრივი დევნის პოლიტიზირება ყოფილა.

ასევე, გაუგებარია, რა შუაშია მედიასთან ის ფინანსური დანაშაული, რის გამოც პირს სასჯელი დაეკისრა.

და მესამე -— რაც შეეხება მთავრობისადმი ნდობის ხარისხს, საქართველოს მოსახლეობაში ის ნამდვილად იზრდება სწორედ იმის გამო, რომ სახეზეა კანონის უზენაესობა, ხოლო რაღაც ე.წ. არასამთავრობოებისა და კრიმინალური ყოფის პოლიტიკური პარტიების შეხედულებები ამ შემთხვევაში საინტერესო არ არის.

ასევე, ყოვლად ამაზრზენია ვინმე ჟიგიმანტას პავილიონისის განცხადება, რომელიც თურმე „დაიღალა საქართველოს ხელისუფლებისთვის იმის ახსნით, რომ არ უნდა ხდებოდეს პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრება“.

საქართველოს მოსახლეობას კი ნამდვილად არ სურს ვინმე ჟიგიმანტასს აუხსნას, თუ რას ნიშნავს „პოლიტიკური ოპონენტი“ და რას ნიშნავს „კრიმინალი“.

ამისათვის საკმარისია, რომ წავიდეს ბიბლიოთეკაში, ან დაგუგლოს და შესაბამის ლიტერატურას გაეცნოს.

ან წავიდეს სახლში და ამ სისულელეების თქმაში აღებული ფული „ტკბილად“ მოიხმაროს!

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მრჩეველი დერეკ შოლე: გვაქვს წუხილი მედიის თავისუფლების, ღია დებატებისთვის სივრცის დახურვის გამო.

დიდი მადლობა, ბატონ შოლეს!

კარგია, რომ დღეს შეწუხდით მედიის თავისუფლების, ღია დებატებისთვის სივრცის დახურვის გამო. როგორც ამბობენ, „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“.

კარგია და მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია, რომელიც სავარაუდოდ არცერთ საერთაშორისო ანგარიშის შეშფოთების საგანი არ გამხდარა:

> **2007 წლის 10 აგვისტოს, სააკაშვილის პრეზიდენტობის ჟამს მისი ხელისუფლების მიერ საპოლიციო ძალების გამოყენებით დაარბიეს (ხაზს ვუსვამ – დაარბიეს!) თბილისის ცენტრში მდებარე გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობა, რომელშიც განთავსებული იყო ფაქტობრივად ყველა ძართული ბეჭდური მედია, რამდენიმე ათეული გაზეთი და ჟურნალი, ასევე – ორი ტელევიზია.**
>
> **დაარბიეს რედაქციები, გაანადგურეს კომპიუტერული ტექნიკა და უნიკალური არქივები.**
>
> **დიდი მადლობა ბატონ მრჩეველს ამ დაგვიანებული წუხილისთვის და იმედი გვაძვს, რომ თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, მკაცრ შეფასებას გააკეთებს საქართველოს 2007 წლის ხელისუფლების მისამართით და საერთაშორისო ინსტიტუტებს მიაწვდის ამ ინფორმაციას.**

სწორედ ასეთი დამოკიდებულება ახდენს ისეთი „სწავლულების“ წახალისებას, როგორიც არის მაგალითად ვინმე ლევან ბერძენიშვილი, რომელიც საქართველოს, მისი ფასეულობების, წარსულისა და მომავლის წინააღმდეგ ტალახის სროლას ვაჟკაცობად მიჩნევს!

> **ბევრჯერ დამიწერია, რომ ლიბერასტებმა მოახერხეს და ხალხს შეაძულეს სიტყვა ნაციონალური, შეაძულეს სამოქალაქო საზოგადოება, შეაძულეს ცისარტყელა.**

შეეცადნენ მოესპოთ კულტურა. ვიღაც მდაბიო პროვინციალებს მსახიობები დაარქვეს, უნიტაზზე დაწერილ ეპატაჟურ გამოხტომებს – ლიტერატურა.

შეეცადნენ მოესპოთ ჟურნალისტიკა. სცადეს ბეჭდური მედიის განადგურება. ვიღაც გაუნათლებელ ტიპებს ხელში მიკროფონები მისცეს და უთხრეს, რომ ჟურნალისტიკა არა შრომა და შინაგანი ინტელექტია, არამედ ამერიკულ მდარე ფილმებში ნანახი თავხედობა.

სცადეს ინტელექტის მოსპობა. სცადეს „ჩარეცხვა“ და ვიღაც მდაბიო არსებები ქართული ინტელექტის **ზე-გამოვლინებად** შერაცხეს.

არადა, როგორ შეიძლება სერიოზულად შეხედო იმ მღილს, რომელიც გამსახურდიას იგავ-არაკის გუდურასავით დრენდოუტს ეპოტინება – ხალხი დამინახავს და სამხედრო გემთან მებრძოლ რაინდს დამარქმევენო.

არ გამოდის ეგ თაღლითობა, არ გამოდის. მაქსიმუმ „ნანუკა“ აღფრთოვანდეს იმ იდიოტობით, რაც ლევან ბერძენიშვილმა ერეკლე მეორეს მოღალატედ შერაცხვაზე თქვა.

არ დავიწყებ ამ თემის გაშლას იმიტომ, რომ შარლატანთან პოლემიკას აზრი არა აქვს. აზრი არა აქვს არც თავად ამ „ინტელექტუალზე“ რაიმეს თქმას, რადგანაც მისი თვალსაწიერი იმ თანხის ოდენობით განისაზღვრება, რასაც გადაუხდიან. და დარწმუნებული ვარ, რომ იმ თავისნაირების მსგავსად, რომლებიც ჯერ მიშას ფულს იღებდნენ, შემდეგ ბიძინას წყალობით ისევ პარლამენტში აღმოჩნდნენ, შემდეგ ისევ მიშას წიაღს დაუბრუნდნენ, ხვალ ვინმემ რომ გადაუხადოს, გმირთა მოედანზე შიშვლები ირბენენ.

ეჰ, რას იზამ, მაგრამ სწორად არის ნათქვამი – სად – ერეკლე და სად – ლევანა ბერძენიშვილიო!..

წერილის ბოლოს კი მინდა გაგიზიარო ის საფიქრალი, რაც მაწუხებს და პასუხი ვერ ვიპოვე:

> **როგორ შეიძლება ჯანმრთელი და ნორმალური ადამიანი სერიოზულად ფიქრობდე იმაზე, თუ რა „მოსაზრება“ აქვს „ნანუკას“ ბიძინა ივანიშვილზე. ეთანხმება თუ არა ვინმე სანაია ვინმე ბერძენიშვილს ერეკლე მეორის მისამართით ნათქვამ აბდაუბდაზე! რა შეფასებებს აკეთებს ვიღაც გაუნათლებელი ევროპარლამენტარი საქართველოს მოსახლეობის არჩევანზე. რა სისულელეებს ამბობს ვიღაც არესტოვიჩი, ან ე.წ. „სახალხო დამცველი“. როგორ შეიძლება რომ ტვინის მრავალმილიარდი უჯრედიდან თუნდაც ერთში გაკრთეს მოსაზრება გვარამიას თავისუფალი ჟურნალისტობის და ტრაპაიძის კარგი წამყვანობის შესახებ?!**
>
> **როგორ შეიძლება უნიტაზელ ტიპებს ხელოვანები, ან კოლექტიურ მანჯგალაძეებს პოლიტიკოსები უწოდო?!**



> **არა რა, თუ მაინცდამაინც უნდა ვიფიქრო, აშკარად სჯობს იმაზე დავხარჯო დრო, სანაპიროს რომელ ლუდის ბარში უკეთესი თევზია და რომელში – ლუდი.**
>
> **თქვენც გირჩევთ!**

გია გაბრიჭიძე

სანქციებს ტყუილად იხვეწებიან!

თითქმის 10 წელზე მეტია ქვეყანაში ოპოზიციური პარტიული ტელევიზიები და მათი ბოსები ბ-ნ ბ.ივანიშვილს დაუნდობლად ებრძვიან და დასავლეთიდან მის წინააღმდეგ რალაც სანქციებს უაზროდ იხვეწებიან.

მიუხედავად ამისა, ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი ქვეყანაში კი არ კლებულობს, არამედ ყოველწლიურად მატულობს, რაც სხვადასხვა არჩევნების დროს ნათლად იჩენს თავს. ეტყობა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელს და ყველა დროის ყველაზე დიდ ქველმოქმედს თავისი ოპონენტები ცუდად იცნობენ, მართლა რუსი ოლიგარქი ჰგონიათ. სინამდვილეში იგი ქართველი პატრიოტი, მილიარდერი, მსოფლიოში ცნობილი ქველმოქმედ-ფილანთროპია, რის გამოც დაჯილდოებულია საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოთი — საპატიო ლეგიონის ორდენით, რაც ნამდვილ მილიარდერთა კლუბში იშვიათი მოვლენაა, ხოლო ასეთ ადამიანებს სანქციებს არავინ არ უწესებს.

გაჯიუტებული ოპოზიცია ნამდვილად დიდ შეცდომას უშვებს, როცა ბ-ნ ბ.ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლას თავიანთი პარტიული საარჩევნო პროგრამის ძირითად მიზნად აქცევს, მთელ აქცენტს ამაზე აკეთებს და იმას კი ვერ ხვდება, რომ სწორედ ამის გამო ქვეყანაში ყველა არჩევნებს პერმანენტულად აგებს!..

და ეს კრახი გაგრძელდება მანამ, სანამ ეს ოპოზიციონერი ვაი-პოლიტიკოსები ამ მანკიერ პოლიტიკას არ შეეშვებიან და ხალხს რაღაც ახალს, უფრო საგულისყურო საარჩევნო პროგრამას არ შესთავაზებენ...

ბონდო ქოგულია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ვილაცებს ჰგონიათ, ევროპაში ყოველდღე გვარამიასა და სააკაშვილის დარდით კვდებიან!

თუ ვინმე დღეს ევროკავშირში მისაღებად არის მზად, ეს საქართველოა!

ევროკომისიას, სავარაუდოდ, 7 ივნისს ეცნება მზად დასკვნები „ასოცირებული ტრიოს“ ქვეყნების — უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვის მიერ კითხვარებზე გაცემულ პასუხებზე დაყრდნობით და შემდეგ, ეს დოკუმენტები შარლ მიშელის ხელმძღვანელობით მოქმედ ევროკავშირის საბჭოში უნდა განიხილონ.

იმის ფონზე, როდესაც საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსზე განაცხადი აქვს შეტანილი და მთელი საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი სპექტრი პასუხის მოლოდინშია, დღეს საუბარი გააქტიურდა იმაზე, ამ გადაწყვეტილებაზე რამდენად მოახდენს გავლენას ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესები და ჩატარებული აქციები.

პოლიტიკოსთა და ანალიტიკოსთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენები ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ იქონიებს, მეორე ნაწილი თვლის, რომ არსებული პოლიტიკური ვითარება საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან უარყოფითად ფასდება, რამაც გარკვეული როლი შესაძლოა, ევროკავშირის გადაწყვეტილებაზეც იქონიოს.

ანალიტიკოსმა **ვახტანგ ძაბირაძემ** აღნიშნა, რომ კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, ევროკავშორი გადაწყვეტილებას ხვალ რომ იღებდეს, საქართველო, უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, ამ სტატუსს მიიღებდა. თუმცა, მისივე თქმით, შორეულ პერსპექტივაში რაიმე პროგნოზის გაკეთება რთულია.

„მსოფლიოში მიმდინარეობს ურთულესი პროცესები და აქედან გამომდინარე, ხვალ რომ ღებულობდეს გადაწყვეტილებას ევროკავშირი, თუ უკრაინა და მოლდოვა მიიღებენ კანდიდატის სტატუსს, მივიღებდით ჩვენც, მიუხედავად იმისა, რა ვითარებაა ქვეყნის შიგნით. არ ვიცი, რა იქნება ორი თვის შემდეგ, როგორ განვითარდება პროცესები, რადგან ყველაფერი იცვლება. შესაძლოა, ქვეყნის შიგნით მოხდეს რამე გაუთვალისწინებელი, უკრაინაში ომია და იქაც შეიძლება სხვაგვარად განვითარდეს პროცესები.

საქართველოში ყოველთვის ასე იყო, ყველა ხელისუფალი ოპოზიციის შეფასებით, პრორუსია. საქართველოში ჯერ ისეთი მნიშვნელოვანი არაფერი ხდება, რომ ვილაპარაკოთ, თითქოს „ქართული ოცნება“ პრორუსული პოლიტიკური ძალაა. თუ მისი გამოსვლებით ვიმსჯელებთ, ის უფრო ნეიტრალურ პოზიციას იკავებს და ელოდება მოვლენების განვითარებას“, — განაცხადა ვახტანგ ძაბირაძემ.

* * *

ანალიტიკოსი **ნიკოლოზ მეტრეველი** აღნიშნავს, რომ დღეს ქვეყანაში ისეთი არაფერი ხდება, რამაც შესაძლოა, ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონიოს. მისივე შეფასებით, საქართველო ყველაზე მეტად იმსახურებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებას.

„არავითარ ცუდ გავლენას არ იქონიებს. ვილაცებს ჰგონიათ, რომ ევროპაში ყოველდღე ნიკა გვარამიასა და მიხეილ სააკაშვილის დარდით კვდებიან, ეს სისულელეა. დღეს მთავარი საკითხი არის გეოპოლიტიკური სირთულეები, რომლებიც არსებობს.

ჩვენს ქვეყანაში არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, რაც არ ხდება დასავლეთის, სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში. რაიმე სერიოზული გადაცდომა არსებულ ხელისუფლებას არ აქვს. ევროკავშირმა, დემოკრატიის კუთხით, საქართველოზე ბევრად უკან მყოფი ქვეყნები მიიღო 90-იანი წლებიდან დაწყებული. თუ ვინმე დღეს ევროკავშირში მისაღებად არის მზად, ეს საქართველოა, ამაზე ღიად საუბრობს ყველა.

თუ სხვა გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ეს მხოლოდ და მხოლოდ დიდ წყენას გამოიწვევს ქართველ ხალხში, რომელსაც გულწრფელად სჯერა იმ დასავლური ღირებულებების, რომლითაც ჩვენ ევროპას და ამერიკას ვიცნობთ“, — განაცხადა ნიკოლოზ მეტრეველმა.

ნიკო ჩოხელი

ნაცების ახალი ინიციატივა

„კუდი ძაღლისა არ განემართების!..“

„ობიექტურ სინამდვილეში არ არსებობს არც ერთი ფაქტი, რაც ბიძინა ივანიშვილის მიერ არამც თუ „სახელმწიფოს მიტაცებას“, არამედ საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლებების, ან ადგილობრივი თვითმმართველობების, ანდა, რომელიც გნებავთ, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებათა მიღებაში კანონით დაწესებულ ფარგლებს მილმა რაიმე უკანონო მონაწილეობას, არათუ დაამტკიცებდა, არამედ — ირიბად მაინც მიანიშნებდა. ასეთი ფაქტი რომ იყოს, მისი დამალვა ამდენი ჩასაფრებულისათვის, ამდენი გაფაციცებული „ფხიზელი თვალისთვის“ ყოვლად შეუძლებელია და ის ძალიან მალევე გამჟღავნდებოდა, უმალვე გარდაუვლად გახდებოდა საყოველთაოდ ცნობილი. არც ერთ მსგავს რეალურ ფაქტზე არასდროს საუბარიც არ ყოფილა, სამაგიეროდ გამუდმებული და გაუთავებელი ყაყანია უფაქტო აღქმებზე.

(ნაცებს სამართალში აშკარად ფუნდამენტური გადატრიალება სურთ და „უფაქტო დე იურე“ შემოაქვთ.)

ობიექტური რეალობა, ფაქტები ერთმნიშვნელოვნად, ყოველგვარი პირობითობის გარეშე და უდავოდ ადასტურებს საწინააღმდეგოს: მიუხედავად პრობლემებისა, მათ შორის, თუნდაც სამართლებრივი ხასიათის ხარვეზებისა, დღეს საქართველო შემდგარი კონსტიტუციური ერი-სახელმწიფოა და არც ერთ პიროვნებას, ადამიანთა ჯგუფს, რომელიმე პოლიტიკურ ძალას და სხვ. არავითარი შანსი, არანაირი შესაძლებლობა ან რაიმე ინსტრუმენტი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, რათა „სახელმწიფო მიიტაცოს“; ანუ — კვლავ ჩაიდინოს ის, რაც ნაცებმა „ვარდების რევოლუციით“ დაიწყეს, 2012 წლამდე დღემუდამ სჩადიოდნენ და რა მიზანიც მათ იმთავითვე, ამ ბოროტმოქმედი ძალის შექმნის, უფრო სწორად „მოქალაქეთა კავშირში“, როგორც კასრში ვირთაგვაჭამიებისა, გამოზრდის პროცესშივე, ჯერ კიდევ 2000 წელსვე, ღიად ჰქონდათ გაცხადებული.

ყველაზე მკაფიო ინდიკაცია, რითაც შეიძლება შეფასდეს, აქვს თუ არა ამა თუ იმ პიროვნებასა თუ პოლიტიკურ ძალას „სახელმწიფოს მიტაცების“ ან მსგავსი ბოროტი მიზანი, არის კონსტიტუციისა და ზოგადად, „მართალი სამართლის“ (რასაც ადრე — „სჯული“ ერქვა) მიმართ მისი დამოკიდებულება. აი აქ, უკვე კომენტარებიც ზედმეტია, რადგან ყველას მუდამ უნდა ახსოვდეს, ხოლო ამისთვის ეს, როგორც მწარე გაკვეთილი, ყოველ მიზეზგარეშე, აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს და შეტანილი იქნას უახლესი ისტორიის ყველა სასწავლო კურსში, თუ რა დამართეს, **რა ბარბაროსული ფორმით გააუპატიურეს ნაცებმა სამართალი, მათ შორის, უწინარესად — როგორ აძციეს ფარატინა ძალალდად ქვეყნის კონსტიტუცია, რა უსჯულოდ და ძაჯური ვნებით შეპყრობილნი თელავდნენ ფეხქვეშ „მართალ სამართალს“,** ე.ი. **ქვეყნის სჯულს.** მათი რეჟიმის პირობებში სამართლის დევალვაციის პროცესი შეიძლება მხოლოდ იმას შევადაროთ, რაც 90-იანიების დასაწყისში ფულის „კუპონიზაციისას“ დაგვემართა. როგორც მაშინ, ფულის ნაცვლად გვქონდა მხოლოდ მისი სუროგატი, ასევე — ქართული სამართლის, ე.ი. სჯულის ნაცვლად, ნაცებმა თავს მოგვახვიეს თავიანთი სუროგატული „კუპონ-სამართალი“, რაც გახვრეტილ გროშადაც ვერ ფასობდა. ამიტომაც იყო, რომ სამართლის ძებნა ქვეყანაში წარმოუდგენელი გახლდათ და მას ქვეყნის გარეთ, მაგ. სტრასბურგში თუ იპოვიდა ვინმე.

საუბედუროდ, „კუდი ძაღლისა არ განემართების, არცა „კირჩხიბი მართლად ვალს“ და სახელმწიფოს მიტაცება კვლავაც წარმოადგენს ნაცების ე.წ. პოლიტიკის ძირითად მიზანს. ამ მიზანს ისინი დღესაც არ მალავენ და ვინაიდან კონსტიტუციური გზით მისი მიღწევა გამორიცხულია, ისევ უკუღმართ, ძალადობრივ და „რევოლუციურ“ გადატრიალებებს თუ ამბოხებებს გეგმავენ. ამისკენ, ე.ი. ისევ უსჯულოებისკენ, მოუწოდებენ და სწორედ ამის გარშემო რაზმავენ საკუთარ მომხრეებს. უარესიც — კვლავაც დაჟინებით ცდილობენ სამართლის „კუპონიზაციას“, მის გაუფასურებასა და სუროგატად ქცევას, ე.ი. სჯულის ნაცვლად თავიანთი ბოროტი ნების თავს მოხვევას. ეს კი სხვა მეთოდით, თუ არა „უფაქტო დე იურედ“, ე.ი. ობიექტური რეალობის, ჯიუტი ფაქტების თავიანთი მახინჯი აღქმებით, ტელემოჩვენებებით ჩანაცვლების გარეშე, ყოვლად შეუძლებელია. ასეთ, „უფაქტო დე იურე“ მოჩვენებათა რიგს განეკუთვნება როგორც სააკაშვილისა თუ გვარამიას „პოლიტპატიმრობა“, ასევე ივანიშვილის მიერ ქართული სახელმწიფოს „მიტაცება“ და უარესიც: ივანიშვილის უდიდესი, ისტორიულად უპრეცედენტო ქველმოქმედების ბოროტმოქმედებად გასაღება.

...თუმცა, თავიანთი სამრეკლოდან ნაცები უდავოდ მართლები არიან: ბიძინამ 2012 წელს დიახაც, არა თუ მიიტაცა, არამედ სწორედაც რომ ხელიდან გამოგლიჯა მათ არაერთგზის წიხლქვეშ გაგდებული, მძევლად აყვანილი ქართველი ხალხი და მათ მიერვე ტალახში ამოსვრილი ქართული სახელმწიფო.

დავით ზარდიაშვილი

დაწყევლილები!...

ბრიყვების ახალი დავიდარაბა

ამას წინათ ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში ზაქარია ჭიჭინაძის წერილი წავიკითხე — „ივანე გიორგის ძე მაჩაბლის დაკარგვის ამბავი, აღწერილი მომხდარის და ნახულის და გაგონილის ამბებიდამ“. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო რედაქციას, საუკუნენახევრის წინ მომხდარი ამბები რომ შეგვახსენა, ამბები, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს ქართველი საზოგადოებისა და მკითხველის ინტერესი, არა მხოლოდ ივანე მაჩაბლის საიდუმლო დაკარგვის გამო, არამედ იმ ეპოქის გამო, რომელიც საოცრად ჰგავს დღევანდელობას, როგორც თავისი ელფერით, ასევე - შინაარსითაც. ჰგავს კი არადა, ალი და კვალია, და იმის ნათელი მაგალითია, რომ ერი არ ვითარდება, წინ არ მიდის , წინსვლისა და ქვეყნის შენების ნაცვლად, ობობას ქსელივით ისე მჭიდროდ და ძლიერ მოგვდებია ერთმანეთის სიძულვილი, შუღლი და მტრობა, რომ თითქოს ეს იყოს ის ძირითადი მიზანი ქართველი ხალხის ამ ქვეყნად მოსვლისა. თითქოს, ჩვენ მეტი არაფერი საფიქრალი და საზრუნავი არა გვაქვს რა...

მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლებია და თავსაყრელი საჭირბოროტო საკითხებით დატვირთულ ქართველ საზოგადოებას ახალი დავიდარაბა აეკიდა. ეს იყო ორ ინტელიგენტს, იმ დროის ქართული ყოფის გასაჯანსაღებლად, ღვთის წყალობით მოვლენილ ორ უგანათლებულეს ადამიანს შორის ომი. ვინ იყვნენ ეს ადამიანები? გასაკვირია პირდაპირ! ესენი იყვნენ სოლიდურ ასაკში მყოფი ილია ჭავჭავაძე, დიდი შემოქმედი და მოღვაწე და ახალგაზრდა,უაღრესად განათლებული და ყოვლად შემკობილი პიროვნება ივანე მაჩაბელი. ილია ჭაჭავაძე იმ დროს ქართული ბანკის დამაარსებელი და საბანკო საქმიანობის მწარმოებელი იყო, მისივე რჩეული გახლდათ ახალგაზრდა ივანე, ილიას გვერდში მდგომი და სანდო ადამიანი... მაგრამ მოხდა ისე, რომ ბოროტმა ადამიანებმა (უსაქმურებმა, გაკოტრებულებმა...) ისარგებლეს რა ივანეს რბილი ხასიათით (ბანკის საქმესა და თვით საქართველოსაც რომ მაინცდამაინც არ წაადგებოდა, ისეთით), მოახერხეს და მათ შორის მტრობა და უნდობლობა დათესეს. ეს იყო მტრობა არა მხოლოდ ორ ადამიანს შორის, არა, რადგანაც ორთავეს თავისი მხარე გაუჩნდა და აწრიალდა ქალაქი... ომი გრძელდებოდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ დროის განმავლოვბაში რამდენი კეთილი და ქვეყნის სასარგებლო საქმის გაკეთება შეეძლო ამ ორ დიდებულ ქართველს, მაგრამ ქვემძრომებმა აცალეს კი? მადლობა ღმერთს, რომ ილიას მტკიცე ხასიათმა თავისი გაიტანა და მან, ჩვეულებისამებრ, განაგრძო ქვეყნის პატრონობა, რაც თავისი სიტყვით და გონიერებით მაჩაბლის გუნდი დაამარცხა.

დღეს ჩვენ ილია და მისნაირები, სამწუხაროდ, არა გვყვანან... ვამბობ ამას და გულში კი ვფიქრობ: ვინ იცის, იქნებ არიან კიდეც, მაგრამ ურჯულოები ისე მოგვმრავლებია, ისე დაუფლებიან სატანათმცოდნეობას, ისე გარეულან ხალხში და წამლავენ და შხამავენ მათ აზროვნებას, რომ სიკეთის კეთება სარისკოა კიდეც. იცით რატომ? სიკეთეს სიმართლე და პატიოსნება უნდა უმაგრებდეს ფესვებს... ამ დროს კი მტერი თუ ჰყავს, სწორედ სიმართლეს და პატიოსნებასა ჰყავს. სიმართლე თუ გაიაზრე, შეიცნე და მერე გაბედე და მოისურვე კიდეც მისი გამოთქმა, მტრისას და ავისას, შენ დღე მოგელის... ამიტომ, ვინ გაიგებს, სად არის ილია და სად — ივანე... ახლა ძალიან ცუდი დროა, იმაზე უარესი, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი იყო, მაშინ მომავლის იმედით, მტერს უფრო იოლად ამარცხებდნენ. დღეს კი 30 წელზე მეტია ვითომ მომავლისკენ მივიწევთ, მაგრამ შური, მტრობა და ძაგება, ერთმანეთთან ჩხუბი და დავიდარაბა ისე გამჯდარა ქართველთა სისხლ-ხორცში, რომ სად არის საიმედო მომავალი, მისი გზა ჩახერგილია, და ვიცით კი, რამაც ეს გზა ჩახერგა? კაპიტალის დაგროვების სურვილმა, ერთმანეთის ჯიბრით ქონების მოპოვების წყურვილმა დააკარგვინა ადამიანებს მხოლოდ სახე კი არა, სულიც და გულიც... უსულგულოებს კი რა მოეთხოვებათ, სამშობლოზე ზრუნვა? არა, ძვირფასებო, არა. სამშობლო დღეს უცხო ცნება გამხდარა და მას იშვიათად თუ ვინმე ახსენებს. ეს კი ყველაზე დიდი უბედურებაა. მეცხრამეტე საუკუნეში, ილიამ და მისმა

ზაქარია ჭიჭინაძე:
მე ვამბობ ხოლმე, რომ ქართველი ერი დაწყევლილია მღვდლისაგან და კაცის პირისაგანაც. მიზეზი ამ დაწყევლისა ის არის, რომ ქართველმა კაცმა არ იცის თავის პატივისცემა, არა აქვს თავისი ქვეყნის სიყვარული. ის თავისი მტერია და სხვების მონა და მორჩილი.

თანამოღვაწეებმა, თითქმის დაკარგული სამშობლო კვლავ მოაპოვებინეს და აღმოაჩენინეს ქართველებს... რა ხერხით და რისი წყალობით? ცოდნისა და განათლების აღორძინებით, შრომისა და მოძრაობისადმი ინტერესის გაღვივებით. დღეს კი ისევ წერა-კითხვის საზოგადოებების შექმნაზე უნდა ვიფიქროთ თუ, რა ვქნათ? კარგის და ცუდის გარჩევა გაგვძნელებია, დასმენას და ერთმანეთის ძაგებას ვერ აუდიან ლეგიონები, ახლა რომ პარტიები დაირქვეს. ადამიანი ვერ გარკვეულა, რისი და ვისი პარტიაა. ერთი გაიძახის — რუსეთისაო, მეორე კი — ამერიკისაო, აბა მითხარით, სად არის ქართული პარტია, საქართველოს მოჭირნახულე და სამშობლოზე მზრუნველი?!

ზაქარია ჭიჭინაძისა არ იყოს, მართლაც დაწყევლილები ხომ არა ვართ? სწორედ ასე იწყებს წერილს ბატონი ზაქარია: „მე ვამბობ ხოლმე, რომ ქართველი ერი დაწყევლილია მღვდლისაგან და კაცის პირისაგანაც. მიზეზი ამ დაწყევლისა ის არის, რომ ქართველმა კაცმა არ იცის თავის პატივისცემა, არა აქვს თავისი ქვეყნის სიყვარული. ის თავისი მტერია და სხვების მონა და მორჩილი,“ ამბობს იგი და მერე იწყებს იმ მიზეზებზე საუბარს, ამ დიდ ადამიანებს — ილიასა და ივანე მაჩაბელს შორის შუღლი და მტრობა რომ გამოუწვევია.

ახლა ჩვენს დროსა და ეპოქას მივხედოთ. რა ხდება დღეს. თქვენ წარმოიდგინეთ, იგივე მდგომარეობაა თითქმის... წლები კი არადა, საუკუნეები გადის და საზოგადოება იმავე გაუგებრობაშია. ჯერაც ვერ გვისწავლია ვერც ერთმანეთის პატივისცემა, ვერც სამართლისა და სიმართლის შეცნობა, ვერც სამშობლოს სიყვარული, ვერც სახელმწიფოებრივი აზროვნება და ვერც ვერაფერი ისეთი სიკეთე, ქვეყნის განვითარებასა და წინსვლას რომ წაადგება. ვართ სულ მუდამ გაუთავებელი უთანხმოებების შემყურე, ვერ გვშველის ვერც კონსტიტუცია, ვერც კანონი და სასამართლო გარჩევები, ძნელია ამ აურზაურის ახსნა, რომელიც ქვეყანაში იქმნება. გაუგებარია და დაუსრულებელი. ამ დროს სახელმწიფო თითქოს არ არსებობს თუ გვერდზე დგას(!), თითოეულ მოჯანყეს თავისი კონსტიტუცია აქვს და თავისი სამართალ-სიმართლე. თუ არ გჯერათ, ჩართეთ ახლა, ამ წუთში საინფორმაციო ტექნიკა და ყველაფერს დაწვრილებით გაიგონებთ. ჭეშმარიტება ერთია და იქიდან გადმოცემულ „ორ ჭეშმარიტებას“ ვინ როგორ შეიცნობს და გაიგებს, ეს ნამდვილი სასწაულია. სასწაულია ისიც, რომ დიდი აყალმაყალისა, ქუჩის დემონსტრაციებისა და შეძახილ-შემოძახილების გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც ხალხს გვგონია, რომ ჰა და ჰა, გაიმარჯვა ერთმა სიმართლემ (ჭეშმარიტებამ!) და ყველაფერი მიწყნარდა, გვგონია, რომ როგორც იქნა დაიწყება ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვა და ქვეყნის ძირითადი საკითხების

მოგვარება, სწორედ ამ დროს ისევ ამოხეთქავს ახალი ცეცხლი კი არა, ვულკანი. მაგონდება დიდი სოკრატეს (თუ არ ვცდები...) გამოთქმა: როგორ გინდა დააჯერო ბრიყვი, როდესაც ერთ ბრიყვულ აზრს გაუბათილებ თუ არა, იქვე იწყებს ახალი სიბრიყვის წამოწყებას!.. დიახ, ასე ამბობს ბრძენი ფილოსოფოსი. ასე არ არის? პატიმარი მიხეილ სააკაშვილი საპატიმროდან გამორჩეული სპეციალისტებით ცნობილ საავადმყოფოში გადაიყვანეს! არაო, — საზღვარგარეთ უნდა გადაიყვანონო, აუცილებლად! ამბობენ არა მარტო მისი ოჯახის წევრები, არამედ ოპოზიციონერებიც, რომლებიც ქვეყნისა და ხალხის ასარევად სახელმწიფო ინსტანციებს ყოველთვის კრიჭაში უდგანან თავიანთი დაუსრულებელი პრეტენზიებით!.

და ჩვენ, ხალხი რას ვუძლებთ, რა დღეში ვართ! ყოველდღე ილევა ამ დამძაბველი, გაუთავებელი კოშმარების კორიანტელში. განა საკუთარი გასაჭირი არა გვყოფნის?

ამ დროს, სოფლის აშენებას რა უნდაო, — გაიძახის ერთი ჯგუფი, მეორენი: როგორ თუ რა უნდაო?.. და არის ერთი ამბავი. და ეს რა ამბებიცაა, უკვე ყველამ ვიცით, ზოგმა ავად, ზოგმა კარგად. კიდევ რა უნდა შეგახსენოთ!. მორიგი და ახალთახალი სენსაცია კი ისაა, რომ დაიჭირეს ბრალდებული, დამნაშავე ნიკა გვარამია, მაგრამ ვინ უჯერებს სასამართლოს, დამნაშავე კი არა, სიტყვის თავისუფლების მებაირახტრეაო. მთავრობა (და არა სასამართლო!) როგორ ახშობს მედეა-თავისუფლებას, დემოკრატიის მტრები არიანო და შეძრეს ქვეყანა. ახლა რა ვქნათ, ვის დავუჯეროთ საწყალმა ხალხმა, სასამართლოს თუ ქოსამატყუარობაში რამდენჯერმე შემჩნეულებს, აყალმაყალისთვის რომ ყოველთვის მზად არინ, შრომასა და გარჯაზე წარმოდგენა რომ არა აქვთ, საქვეყნო საქმეზე პასუხისმგებლობას არასოდეს რომ არ იღებენ და მაინც დიდი ხელფასებით უზრუნველყოფილნი... ასეთებს დავუჯეროთ? საგონებელშია ამ იწილო-ბიწილოს მაყურებელი, გადაღლილი, შრომისგან დაქანცული ხალხი. ხალხი, რომელიც მზად არის სამშობლოს საკეთილდღეოდ, მაგრამ სად არის ამის საშუალება, სად არის საქმე, რომელიც ხალხის ცხოვრების მოსაწყობად ამუშავდება. საქმის ნაცვლად, 2015 წელს დანაშაულის ჩამდენის დაპატიმრებას გვაუწყებენ.

ღმერთო ჩემო! თუ დამნაშავე იყო, შვიდი წლის განმავლობაში დღემდე რას უყურებდნენ? თუ სავალდებულო იყო, ამ პიროვნებას ხანგრძლვად ეფრქვია შხამი და ბოროტება, შარში და ჭორში გაეხვია ბევრი უდანაშაულო ადამიანი (მათ შორის საქართველოს ერთგული, პატრიოტი და მოჭირნახულე ადამიანებიც კი!), და ახლა მიაგნეს, თუ რა მოხდა? დიახ, ახლა, როდესაც ძალიან მნიშვნელოვან მოვლენას, ქართველი ხალხის დიდი ხნის სურვილის — ევროკავშირის კანდიდატობის წევრობას ვუახლოვდებით, ამ იდეით გამსჭვალული პრემიერ-მინისტრიც ევროკავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე იმყოფება, სწორედ ამ დროს ჩვენი პენიტენციური საქმის ჩინოვნიკები (მოსამართლე- პროკურორები) ასამართლებენ და იჭერენ იმ ადამიანს, რომელმაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, წლების განმავლობაში „კარგად“ იმუშავა უცოდველ თუ ცოდვილთა განკითხვაში , თავისუფალი მედიის ორგანიზატორის სახელი მოიპოვა, მომხრეებიც (ბოროტ ადამიანებს და შარიანებს რა დალევს ქვეყნად!) კარგა ძალი გაიჩინა და როგორ გვგონია, ეს ინციდენტი საქართველოს წაადგება, მომგებიან პოზიციაში ამყოფებს? რა იფიქრეს იურისპრუდენციის წარმომადგენლებმა, ნუთუ დროს და ვითარებას მათთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს? ჰმ... ხომ დაიწყეს ამ ახალი ინციდენტის გამო ვიღაცებმა (ოპოზიციონერებმა), თავს პარლამენტარებად რომ თვლიან, არეულობისთვის მზადება და სახელმწიფოს მთავრობის დასმენა უცხოელ პარტნიორებთან?

აი, „ბრიყვების“ ახალი დავიდარაბა. როგორ გინდა, დააჯერო მტერი და მოყვარე, რომ შენ მართალი ხარ?

დაუნდობელი დრო კი მიდის სიმართლის დადგენასა და „სოფლის აღმშენებელთა“ შემოკრების ნატვრაში... დრო წარმავალია, სად არის მომავალი?

გულნარა სტურუა

სავალდებულო განათლებიდან სავალდებულო გამოთაყვანებამდე...

საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონი ყველაზე ადრე სკანდინავიის ქვეყნებში, კერძოდ, შვედეთსა და დანიაში მიიღეს. ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, 50-იან წლებში. ამ კანონის რეალიზაციამ მალე გამოიღო დადებითი შედეგები: ამ ქვეყნებმა სწრაფად მიაღწიეს თვალსაჩინო წარმატებებს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის განვითარებაში. არნახულად სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მრეწველობისა და სოციალური მომსახურების ყველა დარგი. მოსახლეობის ცხოვრების დონე სანიმუშო გახდა მსოფლიოსთვის.. კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი სიმდიდრის განაწილების პოლარიზაცია სადღაც გაქრა ისე, რომ ერთი შეხედვით, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის კლასობრივი დიფერენციაცია თითქმის შეუმჩნეველი გახდა. სოციოლოგებმა ეს მიღწევები საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების პირდაპირ შედეგად მიიჩნიეს. საბჭოთა კავშირში ოფიციალურმა ხელისუფლებამ არა, მაგრამ სოციოლოგებმა და პოლიტიკოსებმა შვედეთი ახალი ტიპის სოციალიზმის მოდელად მიიჩნიეს.

საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის შემოღება სხვა ქვეყნებმაც სცადეს, თუმცა უშედეგოდ: ზოგს საკუთარმა კოლონიალურმა პოლიტიკამ შეუშალა ხელი, ზოგს მრავალეთნიკურმა შემადგენლობამ, ზოგს – მათი ქვეყნების ცალკეული რეგიონების კულტურული განვითარების შინაარსისა და რელიგიური მრწამსის რადიკალურმა განსხვავებამ და ა.შ. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მის საგანმანათლებლო სისტემას ტრადიციულად საფუძვლად უდევს „საყოველთაო თავისუფლების“ იდეა, რომელიც ამერიკელებს „დემოკრატიის“ ურყევ პრინციპად მიაჩნიათ დღესაც. ამიტომ არის, რომ ამ ქვეყანაში 15 წლამდე მოზარდთა შორის ათი მილიონი წერა-კითხვის უცოდინარია.

მხოლოდ საბჭოთა კავშირმა დაიწყო საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელება გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში (საყოველთაო განათლების კანონი 30-იანი წლებიდან ხორციელდებოდა!)

საყოველთაო სავალდებულო განათლების პრინციპის განხორციელებამ უზარმაზარი ქვეყანა – საბჭოთა კავშირი ძალიან მოკლე ხანში ყველაზე განათლებულ და კულტურულ სახელმწიფოდ აქცია მსოფლიოში. უმაგალითო წინსვლა განათლებისა და კულტურის სფეროში აუცილებლად აისახებოდა ეკონომიკაზე, საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში ბრიყვები და მოღალატეები რომ არ მოსულიყვნენ, რაც პოლიტიკური მართვის სისტემის არსებითი და საბედისწერო ნაკლით იყო განპირობებული. ამ ნაკლზე საუბარი და მსჯელობა პოლიტოლოგებისა და სოციოლოგების საქმეა და, ბუნებრივია, მე ამის თაობაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ...

ახლა ბევრს ზღაპარი ჰგონია, როგორც უცხოეთში, ისე აძ, ჩვენშიც, ის ფაქტი, რომ დასავლეთის ქვეყნებში განათლების სპეციალისტებსაც და საზოგადოებრივ-სოციალურ განწყობასთან გვაქვს საქმე, როგორც ჩვენში იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ ველზე გამოჩენისას. მაშინაც ხალხის მასამ „ნაციონალური მოძრაობა“ „ეროვნულ მოძრაობას“ გაუთანაბრა და აქტიურად დაუჭირა მხარი მას. არა და, ამ შემთხვევაში „ნაციონალურს“ არანაირი კავშირი არ აქვს „ეროვნულთან“. ამაზე აქ ლაპარაკს არ გავაგრძელებ, ეს ფილოსოფოსების (არა განურჩევლად ყველასი, ცხადია!) განსჯის საგანია. ჩემი მიზანია, შეძლებისდაგვარად, ვაჩვენო მკითხველს, რა გავლენა მოახდინა ნეოლიბერალიზმის (ლიბერასტების) გაბატონებამ საზოგადოებრივ შეგნებაზე, პირველ ყოვლისა კი, მოზარდი თაობის (თაობების) ინტელექტუალურ და სოციალურ განვითარებაზე.

ჰელსინკის დეკლარაციის მიხედვით, პიროვნების უფლება სახელმწიფოს უფლებაზე მაღლა დგას. ე. ი. სახელმწიფო ვერ დაავალდებულებს თავის მოქალაქეს იკისროს ისეთი საქმე, რაც კონკრეტულად ამ სახელმწიფოს ინტერესებში შედის და ამა თუ იმ პიროვნებას შეიძლება სულაც არ აინტერესებდეს. ამიტომ თქვა საჯაროდ ერთმა ლიბერასტმა „პოლიტიკოსმა“, საქართველოს პარლამენტის აწ უკვე ყოფილმა თამჯდომარემ დავით უსუფაშვილმა: **მე და ჩემი მეუღლე თინა იმას კი არ ჩავაგონებთ ჩვენს შვილებს, რომ, თუ საჭირო შეიქნა, სამშობლოს შესწირონ თავი, არამედ მათ თავისუფალ ადამიანებად ვზრდით და ისინი თვითონ გადაწყვეტენ, ვის და რას შესწირონ თავი (იმ დროს მისი მეუღლე თინა საძართველოს ე.წ. ამირსპასალარი იყო!). აი, ეს არის ნეოლიბერალების ლოგიკა; როგორც სამშობლოს დამცველებსა და ერთგულებს გაზრდიან ისინი, ამის გამოცნობას დიდი სიბრძნე არ სჭირდება.**

დავით უსუფაშვილი: მე და ჩემი მეუღლე თინა იმას კი არ ჩავაგონებთ ჩვენს შვილებს, რომ, თუ საჭირო შეიქნა, სამშობლოს შესწირონ თავი, არამედ მათ თავისუფალ ადამიანებად ვზრდით და ისინი თვითონ გადაწყვეტენ, ვის და რას შესწირონ თავი.

ხელმწიფოს მმართველ პოლიტიკოსებსაც საბჭოთა სკოლა (მთელი საგანმანათლებლო სისტემა!) სანიმუშოდ მიაჩნდათ და მისი ცალკეული ელემენტის თავიანთ ქვეყნებში გადანერგვას ცდილობდნენ.

70-იანი წლებიდან მდგომარეობა არსებითად შეიცვალა დასავლეთის ქვეყნებში. ჰელსინკის ცნობილმა დეკლარაციამ, რომელიც 1975 წელს იქნა მიღებული და რასაც საბჭოთა კავშირმაც მოაწერა ხელი (თუმცა ფორმალურად!), სათავე დაუდო ნეოლიბერალობის ანტისახელმწიფოებრივ და ანტიეროვნულ იდეოლოგიას. პიროვნების უფლების უმაღლეს ღირებულებად გამოცხადება სატანისტური სატყუარა იყო, რასაც ხალხის მასები ვერ გააცნობიერებდნენ და, ცხადია, ვერც გააცნობიერეს. ჩვეულებრივი ობივატელისათვის „პიროვნების უფლება“ „ადამიანის უფლების“ სინონიმად იქნა მიჩნეული და, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლება, მართლაც, არის უმაღლესი ღირებულება. **აძ ისეთივე საზოგადოებრივ-სოციალურ განწყობასთან გვაქვს საქმე, როგორც ჩვენში იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ ველზე გამოჩენისას. მაშინაც ხალხის მასამ „ნაციონალური მოძრაობა“ „ეროვნულ მოძრაობას“ გაუთანაბრა და აქტიურად დაუჭირა მხარი მას. არა და, ამ შემთხვევაში „ნაციონალურს“ არანაირი კავშირი არ აქვს „ეროვნულთან“.** ამაზე აქ ლაპარაკს არ გავაგრძელებ, ეს ფილოსოფოსების (არა განურჩევლად ყველასი, ცხადია!) განსჯის საგანია. ჩემი მიზანია, შეძლებისდაგვარად, ვაჩვენო მკითხველს, რა გავლენა მოახდინა ნეოლიბერალიზმის (ლიბერასტების) გაბატონებამ საზოგადოებრივ შეგნებაზე, პირველ ყოვლისა კი, მოზარდი თაობის (თაობების) ინტელექტუალურ და სოციალურ განვითარებაზე.

ჰელსინკის დეკლარაციის მიხედვით, პიროვნების უფლება სახელმწიფოს უფლებაზე მაღლა დგას. ე. ი. სახელმწიფო ვერ დაავალდებულებს თავის მოქალაქეს იკისროს ისეთი საქმე, რაც კონკრეტულად ამ სახელმწიფოს ინტერესებში შედის და ამა თუ იმ პიროვნებას შეიძლება სულაც არ აინტერესებდეს. ამიტომ თქვა საჯაროდ ერთმა ლიბერასტმა „პოლიტიკოსმა“, საქართველოს პარლამენტის აწ უკვე ყოფილმა თამჯდომარემ დავით უსუფაშვილმა: **მე და ჩემი მეუღლე თინა იმას კი არ ჩავაგონებთ ჩვენს შვილებს, რომ, თუ საჭირო შეიქნა, სამშობლოს შესწირონ თავი, არამედ მათ თავისუფალ ადამიანებად ვზრდით და ისინი თვითონ გადაწყვეტენ, ვის და რას შესწირონ თავი (იმ დროს მისი მეუღლე თინა საძართველოს ე.წ. ამირსპასალარი იყო!). აი, ეს არის ნეოლიბერალების ლოგიკა; როგორც სამშობლოს დამცველებსა და ერთგულებს გაზრდიან ისინი, ამის გამოცნობას დიდი სიბრძნე არ სჭირდება.**

ადამიანს ღვთის მიერ აქვს ბოძებული თავისუფალი არჩევანის უფლება, მაგრამ ეს „თავისუფლება“ უსაზღვრო და უკიდეგანო როდია. იგი მკაცრად არის რეგლამენტირებული იმ ადამიანური, საკაცობრიო ღირებულებით, რაც საფუძვლად უდევს ადამიანის სოციალურ არსებობას. ამ ღირებულებებზე ხელის აღება, მისი უარყოფა ცხოველურ მდგომარეობაში დაბრუნებას ნიშნავს. ადამიანისათვის ცხოველურ მდგომარეობაში დაბრუნება ცხოველად გადაქცევა კი არ არის, არამედ რაღაც საშინელებად, რომლის ქცევების პროგნოზირება შეუძლებელია. ჩვენ ვიცით, როგორ მოიქცევა ლომი თუ ირემი, მგელი თუ ცხვარი კონკრეტულ პირობებში. ლომი და მგელი ვერასოდეს მოიქცევიან ირემივით და ცხვარივით, ვერც ირემი და ცხვარი მოიქცევა ლომივით და მგელივით, როგორ პირობებშიც არ უნდა აღმოჩნდნენ ისინი. ადამიანობადაკარგული არსება სხვადასხვა მდგომარეობაში მოიქცევა მგელივითაც და გველივითაც, ლომივითაც და ვირთხასავითაც, ცხვარივითაც და ქათამივითაც, მაიმუნივით ხომ მოიქცევა და მოიქცევა. ამის მეტი რა გვინახავს!..

იმ ლიბერასტ უსუფაშვილს დავიწყებული აქვს (ან იცოდა კი?), რომ სახელმწიფო ადამიანთა კოლექტიური შეთანხმების შედეგად წარმოშობილი ფენომენია, რომელიც ყველასი და თითოეული მისი წევრის უსაფრთხოებას (როგორც ფიზიკურ, ისე ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ.) უზრუნველყოფს. ამიტომ ჩვენი უფლებების გარკვეული ნაწილი დელეგირებული გვაქვს სახელმწიფოში და ამის შესაბამისად კონკრეტული მოვალეობებიც თითოეულ ჩვენგანს ეკისრება. ამის გაგება ძნელია განა?! ან იმის გაგებაა უსაშველოდ რთული, რომ ნეოლიბერალური იდეოლოგია სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ არის მიმართული?

ლიბერასტულმა (ნეოლიბერასტულმა) იდეოლოგიამ და პრაქტიკამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა განათლების სისტემას, ანუ ქვეყნების მომავალს, რადგან სახელმწიფოს ხვალინდელი დღე იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი თაობა იზრდება დღეს.

„ზიანი“-მეთქი რომ ვთქვი, ნამეტნავად ლიბერალური შეფასება გამომივიდა. ზიანი კი არა, სასიკვდილო დარტყმა მიაყენა სკოლას, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლოსაც და უმაღლესსაც! აღზრდა, როგორც პიროვნების სოციალური განვითარების პროცესი, უარყო თავისი კანონებითა და კანონზომიერებებით, პრინციპებითა და მეთოდებით. იგი „ჩაანაცვლა“ განვითარების ცნებით, რაც, მეცნიერული თვალსაზრისით, სრული იდიოტიზმია. განვითარება ყველა ცოცხალი არსებისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ აღზრდას მხოლოდ ადამიანის ნაშიერი ღებულობს და სოციალურ არსებად იქცევა. ადამიანში „სოციალური“ არის ის, რაც მას სოციალურ გარემოში აქვს ნასწავლი, აღზრდის საშუალებით, რა თქმა უნდა.

აღზრდის სისტემა რომ უარყვეს (და მოშალეს!), ფსევდოლიბერალური შეხედულებების დამკვიდრებას რაღა შეუშლიდა ხელს? არც არაფერი! ადამიანის ეგოცენტრისტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას რომელი მოზარდი შეეწინააღმდეგება, ნეტავი? ეს იმას ჰგავს, მიშნაცების პარლამენტში კენჭისყრაზე რომ დააყენეს საკითხი: პარლამენტის წევრებს მოვუმატოთ თუ არა ხელფასებიო. ვინმე წინააღმდეგი იქნებოდა? არაფერი გეტკინოთ!

ეს ფსევდოლიბერალური შეხედულებები რომელია, განათლების სისტემაში რომ ამკვიდრებდნენ (და ამკვიდრებენ!) ჩვენში? ეს შეხედულებები დაკონკრეტებულია ბავშვთა უფლებების დეკლარაციაში და იმ სავალდებულო (!) რეკომენდაციებში, რასაც კონვეიერული წესით „აცხობენ“ ტარაკნებივით მომრავლებული მთავრობის უფლებებით აღჭურვილი არასამთავრობო ორგანიზაციები. ეს „რეკომენდაციები“ მიმართულია სასწავლო პროცესის სისტემური ორგანიზაციის, სასწავლო დაწესებულებაში სავალდებულო წესრიგისა და დისციპლინის, პედაგოგებისა და მოსწავლეთა რეგლამენტირებული იერარქიული დამოკიდებულებისა და სხვა ტრადიციული საგანმანათლებლო უზრუნველყოფის ელემენტების წინააღმდეგ. ეს ყველაფერი თავს იყრის განათლების კანონში, სადაც მოსწავლის უფლებები ბევრჯერ აღემატება მის მოვალეობებს, ხოლო პედაგოგების მოვალეობები ასევე ბევრჯერ აღემატება მათ უფლებებს.

აი, ასეთია ლიბერასტული საგანმანათლებლო პოლიტიკისა და იდეოლოგიის ნამდვილი სახე.

რა გამოიწვია ნეოლიბერალურმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ჩვენშიც და სხვაგანაც, ამის დანახვა ძნელი არ არის.

ბავშვისა და მოზარდის იძულება, გააკეთოს მისივე სოციალური განვითარებისათვის აუცილებელი საქმე, როდესაც ძალადობად და სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, რა პირობებში უნდა ჩამოყალიბდეს ადამიანის ნებისყოფა? ნებისყოფა ხომ პიროვნების ძირითადი სოციალური ნიშანია და მის გარეშე ადამიანი გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ მიიღებს! ვის სჭირდება ასეთი უნებისყოფო ადამიანებისაგან შემდგარი „საზოგადოება“? არც ამის გამოცნობაა ძნელი!

ამგვარი დამოკიდებულების დამკვიდრებამ კატასტროფულად დასცა განათლების დონე ყველგან, სადაც ლიბერასტები გაბატონდნენ. განათლების სავალდებულობა წარსულს ჩაბარდა, „საყოველთაო თავისუფლების“ იდეა ტრიუმფით შემოვიდა ნეოლიბერალურ სივრცეში!

ერის დაცემა, გათახსირება და პირქვე დამხობა მაშინ იწყება, როდესაც ხალხი თავის ისტორიულ წარსულს ივიწყებსო, – სა-

უკუნენახევრის წინ გვაფრთხილებდა დიდი ილია. სამწუხაროდ, ჩვენ გვარგუნა ბედისწერამ, შევსწრებოდით ამ სამარცხვინო მდგომარეობას. სამი ათეული წლის წინ ყალბი ისტორიის სწავლება რომ დააწყებინეს ყმაწვილებს სკოლაში, დღეს ის ყმაწვილები შუახნის ხალხია, რომელთა ხელშია პოლიტიკა და კულტურა, მეცნიერება და ეკონიმიკა, კანონი და სამართალი. საკუთარი წარსული, თავისი ვინაობა და სადაურობა რომ არ ეცოდინება კაცს, განათლებული ეთქმის, ვითომ? ეს კიდევ რაა! დღევანდელმა განათლების სისტემამ ისეთი თაობები გამოზარდა სკოლაში, რომლებსაც მიახლოებითი წარმოდგენებიც კი არ აქვთ ახლო, თუ ცოტა შორეული მეზობელი სახელმწიფოების ისტორიაზე. რა პოლიტიკური ორიენტაციები უნდა განახორციელოს ქვეყანამ, რომლის ჩინოვნიკების ისტორიული თვალსაწიერი რეალობასთან კავშირში კი არა, მხოლოდ აწინდელ პოლიტიკურ კონიუნქტურის საზღვრებსაც ვერ სცილდება.

მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ისტორიასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიის ცოდნას. გეოგრაფია იმიტომ ვახსენე, რომ ნებისმიერი სოციალური აქტივობა გეოგრაფიის ცოდნის გარეშე შეიძლება სრულ უაზრობად იქცეს, კატასტროფად თუ არა! პოლიტიკოსი ხარ თუ ბიზნესმენი, ვაჭარი თუ სამუშაოს მაძიებელი მუშა, შენთვის გეოგრაფიის ცოდნას უპირველესი მნიშვნელობა აქვს. აბა, როგორი საქმე იქნება, ქართველმა ვაშლის ვაჭარმა ციმბირში წასაღები ხილი ირანში რომ ჩაიტანოს, სადაც თავიანთი ხილიც თავზე საყრელად აქვთ. გეოგრაფიის უცოდინარობის გამო, იქნებ, სულაც ისეთ ეკონომიკურ ვითარებაში აღმოჩნდეს ვინმე მაღალჩინოსანი, როგორშიც აშშ-ს პრეზიდენტის წარმომადგენელი ვიქტორია ნულანდი აღმოჩნდა, როდესაც ლუკაშენკო გააფრთხილა: „ბელორუსი უკრაინაში მიმდინარე პროცესებში თუ ჩაერევა, ამერიკის მე-6 ფლოტი ბელორუსის საზღვრებს მიადგება“-ო (როგორც ჩანს, ნულანდი და მისი ფლოტი ახლაც ეძებენ სრუტეს, რათა ბელორუსის საზღვრებს მიადგნენ!). ამნაირი ნულანდებით უკვე სავსეა აშშ და კოლექტიური დასავლეთი, რადგან იქ ჩვენზე ბევრად უფრო ადრე გაბატონდა ნეოლიბერალიზმი განათლების სისტემაში, თუმცა ჩვენ სწრაფი ტემპით მივდივართ წინ გამამხნევებელი ლოზუნგით: „დავეწიოთ და გავასწროთ აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებს განათლების სისტემის ნეოლიბერალიზაციაში!“

რაღა დაწევა გვინდა, გავასწარით უკვე! მეც რაღა ნულანდის მაგალითი გავიხსენე, აგერ არ მყავდა ევროპულად განათლებული სალომე სამადაშვილი! მან ხომ ქუჩაში საჯაროდ განაცხადა: „დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქეებს უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს შეიჭრნენ პარლამენტში“-ო.

როგორია, ჰა!

ამ დედაკაცსაც ნეოლიბერალური ძართული საგანმანათლებლო სისტემის სკოლა აძვს, ალბათ, დამთავრებული. არ ეტყობა, თუ?!

მარტო ისტორიასა და გეოგრაფიას არ შეხებია ნეოლიბერასტული რეფორმის საცეცები. ქართული ლიტერატურის სასწავლო შინაარსი ნახეთ, რამდენი კლასიკოსის ნაწარმოები გაქრა სასკოლო სახელმძღვანელოებიდან. რატომ? იმიტომ, რომ მათი შინაარსი მოზარდი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას უწყობდა ხელს და, ამავე დროს, არ შეესაბამებოდა ნეოლიბერალურ (ლიბერასტულ!) იდეოლოგიას, ამ ღვთისპირიდან გადავარდნილთა „აზრით“ ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ ჰომოფობიური ნაწარმოებია, ხოლო რომელიღაცა მენინგიტგადატანილი დეგენერატის ნაბოდვარი „დასავლურ ღირებულებებზეა“ დაფუძნებული.

ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, მათემატიკის სწავლების მდგომარეობა სერიოზულ განსჯასაც აღარ ექვემდებარება... მოზარდი თაობის ინტელექტუალური გენოციდი ანუ, ხალხურად თუ ვიტყვით, გამოთაყვანება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ჩვენს „საგანმანათლებლო სტრატეგიას“ რომ ვაკვირდები, აშკარად ვხედავ, რომ **საყოველთაო სავალდებულო განათლების პრინციპი საყოველთაო სავალდებულო გამოთაყვანების პრინციპით იცვლება.** ამ პრინციპის განხორციელებისათვის შესაბამისი გარემო უკვე შექმნილია: აღზრდის სისტემა უარყოფილია, მოსწავლეთა იძულება მათზე ძალადობად ითვლება, მოსწავლის უფლებები ბევრჯერ აღემატება მის მოვალეობებს, პედაგოგის ავტორიტეტი მიწასთან არის გასწორებული, სასკოლო დისციპლინა „პაჭიკოს გარმონივით“ არის მოშლილი **(„სკოლა უდისციპლინოდ იგივეა, რაც წისქვილი უწყლოდ“ – ი. ა. კომენსკი).**

ამრიგად, თაობების გამოთაყვანებისთვის ყველა პირობაა შექმნილი!

ვის სჭირდება გამოთაყვნებული ხალხი (გამოთაყვანებულები საზოგადოებას აღარ წარმოადგენენ!) და რა ბაბასილი უნდათ ამის მოწადინეთ? რა უნდათ და ის, რომ საითაც სურთ, იქით გარეკონ ნახირად ქცეული ხალხი, ის აბღავლონ, რასაც ჩასძახებენ, მტერიც და მოყვარეც თვითონ დაუნიშნონ, იქ აომონ და იმასთან, სადაც და ვისთანაც მის გამომთაყვანებლებს სურთ.

აი, ამისთვის ხორციელდება განათლების სისტემაში საყოველთაო სავალდებულო გამოთაყვანების პრინციპი.

განათლების სისტემაში მიმდინარე გამოთაყვანების პროცესი რაიმე ლოკალური მოვლენა არ არის. კაცობრიობამ დიდი ხანია აღიარა ის ჭეშმარიტება, რომ ქვეყნის მომავალი იმაზეა დამოკიდებული, როგორი თაობა იზრდება დღეს სკოლაში! ამ ჭეშმარიტების დავიწყება კატასტროფის გამომწვევია, ეროვნული თვითმკვლელობის ტოლფასია. ამის ნიშნები ხომ აშკარაა დღეს იმათთვის, ვინც თვალხილულია და ყურთასმენაც ჯერ არ დახშობია.

თბილისში, ვაკის პარკიდან დაწყებული თავისუფლების მოედნამდე ფეხით თუ გაიარა ვინმე უცხოელმა და მაღაზიებისა და სხვა დაწესებულებების სარეკლამო აბრებსა და საფირმო წარწერებს მიადევნა თვალი, ვერაფრით მიხვდება, რომ იგი საქართველოშია. არც ტელერეკლამებშია უკეთესი მდგომარეობა. ყოველდღე ჩაგვჩიჩინებენ მომხიბვლელი ტელესახეები: დღეს „ელსი ვაიკიკში“ იშოპინგეთ, ხვალ გირჩევნიათ „თბილისი მოლში“ იშოპინგოთო. ყველაფერ ამას თუ დასაკლავი ცხვარივით უპროტესტოდ ვემორჩილებით, მაშინ კარგი, შევიდეთ „შოპებში“ და „ვიშოპინგოთ“, მხოლოდ არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ იმ „შოპში“ კარგა ხნით ჩავრჩებით და თუ „შოპიდან“ გამოსვლა გვეღირსა, გარეთ ისეთი ნეოლიბერალური სამოთხე დაგვხვდება, რომ ქალისა და კაცის გარჩევას ვეღარავინ მოახერხებს. თუმცა, გამოთაყვანებულებისათვის რა მნიშვნელობა აქვს ან იმას, ვინ ქალია და ვინ კაცი, ან იმას, რა ენაზე ლაპარაკობენ ისინი – ინგლისურად თუ არაბულად, თურქულად თუ შვედურად, რუსულად თუ უკრაინულად!

ისევ დიდი რუსთველით უნდა გავიმაგრო გული და მკითხველსაც ვურჩიო ეს: „ვაჰ, სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუებ, რა ზნე გჭირსა, ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა, სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი საით ძირსა, მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განაწირსა.“

იმედი ვიქონიოთ, მაგრამ ცოტა ჩვენც გავინძრეთ, სახვალიოდ გავისარჯოთ, როგორც აქვე მოყვანილი სტრიქონების მთქმელი, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ავთანდილი ირჯებოდა. სწორედ ამიტომ არ გასწირა ღმერთმა, თორემ ჩვენსავით შინ რომ მჯდარიყო და მკერდზე მჯიღი ერტყა, არც ღმერთი შეეწეოდა და, ცხადია, მიზანსაც ვერ მიაღწევდა.

დრო ცოტა გვაქვს, ანუ ცაიტნოტში ვართ!

ზურაბ ცუცქირიძე,
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პედაგოგიკის დოქტორი.

P.S. **ჩვენმა მარიონეტმა ხელისუფლებამ, მისმა „პრინციპულმა“ „პოლიტიკოსებმა“ საქართველოს მტრებისა და სამშობლოს მოღალატეთა ბანდას – „ნაცმოძრაობას“ დიდი გულმოდგინებით „ომის პარტია“ უწოდეს! რა „ომის პარტია“, რის „ზავის პარტია“! პარტია იცით კი რა არის? ქვეყნის მტერი და მოღალატე, მტერი და მოღალატეა, და არა საპარლამენტო პარტია, ვისთანაც უნდა ითანამშრომლო. მტერთან თანამშრომლობა იგივე სამშობლოს ღალატია! მითქვამს მე თქვენთვის!**

ზ. ც.

მეღვინეობა ხარება
WINERY KHAREBA

ფრთხილად, არ გასკდეთ!

როცა ვაზის სამშობლოში მის შეწამვლას იწყებენ, დღის წესრიგში შაბიამნის შეძენა დგება. თქვენი ნებართვით, გამრჯე გლეხკაცს ვურჩევთ, სიმწრით შეკოწიწებული გროშები დაზოგოს და სტრატეგიული დანიშნულების პროდუქციას უფასოდ დაეუფლოს, ოღონდ აქედანვე ვაფრთხილებთ, რომ კარგა გვარიანად ნერვიულობა მოუწევს.

საუბარია შხამკომბინატად აღიარებულ „მთავარ არხზე“, რომელიც სავსებით იმსახურებს „მთავარ კრახად“ გადანათვლას.

დიახ, ვიდრე ნაპროკურორალი გენდირექტორი **ნიკუტა გვარამია** სამშვიდობოს ჰყავდათ, რაღა უჭირდათ – დაჰფოფინებდა თავის სამწყსოს და ხელს უწყობდა ბოღმის ნთხევასა და სიცრუის ტირაჟირებაში, თუმცა, ამ ჯოჯოხეთის მოციქულთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ფულიპარიას დატუსაღების შედეგად დაობლების მიუხედავად, მშვენივრად განაგრძობენ უკეთურ მოღვაწეობას და საზოგადოებას ჩვეული უტიფრობით ზაფრავენ.

ასე მოხდა კვირა საღამოსაც, როცა ჩვენი ვაიკოლეგა **სესიაშვილის** საავტორო პროგრამამ ძვირფასი საეთერო დროის საკმაო ნაწილი მეცენატობით ცნობილი ბიზნესმენი ძმების ხარებავების გაშავებასა და რუსეთუმეობაში მხილებას მიუძღვნა, თანაც მათი ცოდვების დასამძიმებლად საერთაშორისო მასშტაბის, ამ შემთხვევაში – ჩეხეთის განთქმული საკურორტო ზონის მითვისებაში უცერემონიოდ დასდო ბრალი.

დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, თუ ღირსად მიიჩნევენ, ისინი ცილისმწამებლებს საკადრის პასუხს თავად გასცემენ, მანამდე კი მე თავს უფლებას ვაძლევ, მხოლოდ ის მოგახსენოთ, რაც უტყუარად, დანამდვილებით ვიცი.

უპირველესად, ამთავითვე გავხსნათ ფრჩხილები და მკითხველს იმ ორმოს შესახებ მოვახსენოთ, სადაც ძაღლის თავია დამარხული, ანუ რა მუცლის გვრემაც აქვთ ატეხილი ფსევდომედიის ამ თახსირ წარმომადგენლებს.

არც მეტი, არც ნაკლები, ძმები ხარებავები დედაეკლესიისა და საპატრიარქოს სამაგალითო მრევლნი ბრძანდებიან და შეძლებისდაგვარად, უანგარო და, იმავდროულად, სოლიდური წვლილიც აქვთ შეტანილი მის მსახურებასა თუ მოძლიერებაში, რის თაობაზეც ყოველივე ქრისტიანულის ხმალამოღებულ ლიბერალ მტრებს კრინტი არ დაუძრავთ. სამაგალითოდ მხოლოდ იმ ფაქტს გავიხსენებ, რომელსაც პირადად შევესწარი: დაახლოებით მეოთხედი საუკუნის წინათ ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე დაეშვა სპეცრეისი, რომლითაც სვეტიცხოვლის სამრეკლოსთვის ძმების მიერ საკუთარი სახსრებით შეწირული 5-ტონიანი(!) ზარი ჩამოაბრძანეს. ვიცი, სიკეთის აფიშირების კატეგორიული მოწინააღმდეგე ძმები ხარებავები, დიდი ალბათობით, ერთ-ორ მკვახე სიტყვას არ დამამადლიან, მაგრამ არა უშავს – ამჯერად მართლის თქმით მართლაც არაფერი დაშავდების...

ძმები ხარებავების ტურისტული სასტუმრო ტობავარჩხილში.

გარდა ამისა, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ უმწიკვლო ეკონომისტი მამისა და თაობათა აღმზრდელი პედაგოგი დედის ოჯახში დაფრთიანებულმა შრომისმოყვარე შვილებმა წარჩინებით მიიღეს როგორც საშუალო, ისე უმაღლესი განათლება და ყველაფერს თავისით მიაღწიეს;

ისინი ბავშვობიდანვე გულით ატარებენ შავი ზღვის ტალღებში დაღუპული უმცროსი, 7 წლის ძმის გაუნელებელ ტკივილს. სხვათა შორის, უფროსი – თენგიზი, რომელსაც განსაკუთრებული აგრესიით იხსენიებდნენ ჭეშმარიტების შემბღალავნი, იარაღით ხელში იცავდა სამშობლოს ტერიტორიულ მთლიანობას აფხაზეთის ომში, ხოლო თვით ოჯახმა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მთელი ცხოვრება დატოვა ოდაბადეში – გუმისთაზე.

ვიმეორებ – ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია საამაყო მამულიშვილთა ნაკაიკაცარიდან და ნურავინ ჩამითვლის შემოთავაზებულ სტრიქონებს მათ ადვოკატობად, რადგან თავის დასაცავი არაფერი სჭირთ.

პირიქით – ძმები ხარებავები მხოლოდ „ქართული ოცნების“ კი არა, როგორც სამარცხვინო დაკვეთის შემსრულებელნი უსვამდნენ ხაზს, არამედ ყოველივე კეთილი ქართული საქმის შემომწირველნი არიან!

ძმები ხარებავები მხოლოდ „ქართული ოცნების“ კი არა, ყოველივე კეთილი ქართული საქმის შემომწირველნი არიან!

გია პლატონიშვილი

მოლალატეობრივი პოლიტიკა დიდი ფულის სანაცვლოდ!

თამთა მეგრელიშვილი: პოლიტიკური დავალებაა, ძირი გამოუთხარონ სახელმწიფოს, დააზიანონ მისი იმიჯი. ეს „ნაციონალური მოძრაობისთვის“ შეუქცევადი პროცესია

— კოლექტიური გოცირიძეების კითხვებზე გულწრფელად მოგახსენებთ:

... ღარიბაშვილს განაცხადის შეტანა ხალხმა კინწისკვრით აიძულა და ოპოზიციის ზეწოლის შედეგია განაცხადის შეტანა, ამბობს რომან გოცირიძე.

ეს იმ ფაქტების ფონზე, როცა სახელისუფლებო გუნდის პირობებში საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას, მიიღო ვიზალიბერალიზაცია, ხელი მოაწერა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას, ნატოსთან უპრეცედენტო თანამშრომლობას, შეივსო და უკვე გაიგზავნა ევროკავშირის თვითშეფასების კითხვარი.

რას აკეთებს საქართველო უკრაინის მხარდასაჭერად?!

მნიშვნელოვანს არაფერს...

ეს იმ ფონზე, როცა საქართველოს პარლამენტი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც მიიღო რეზოლუცია „უკრაინაში შესაძლო სამხედრო ესკალაციის შესახებ“.

2014 წლიდან დღემდე უკრაინასთან დაკავშირებით საქართველო, გაეროში, ეუთოში და ევროპის საბჭოს ფარგლებში მიერთებულია დაახლოებით 200-მდე რეზოლუციას და განცხადებას.

2014 წლიდან საქართველო უერთდება ევროკავშირის შემზღუდავ ზომებს ყირიმსა და სევასტოპოლზე.

2022 წლის 28 თებერვალს საქართველო მიუერთდა ევროკავშირის შემზღუდავ ზომებს დონეცკსა და ლუგანსკზე.

საქართველო გაეროს 96 ქვეყანას შორის იყო, ვინც თანასპონსპორობა გაუწია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას — „აგრესია უკრაინის წინააღმდეგ“.

საქართველო იყო „უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის აგრესიის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ“ გაეროს გენერალური ასამბლეის (UNGA76) რეზოლუციის ერთ-ერთი მთავარი თანასპონსორი. რეზოლუციას თანასპონსორობა გაუწია 90-მა სახელმწიფომ და მხარი დაუჭირა 140 ქვეყანამ, ხუთმა ქვეყანამ (რუსეთი, სირია, ჩრდილოეთ კორეა, ერითრეა და ბელარუსი) რეზოლუციის წინააღმდეგ მისცა ხმა, ხოლო 38 ქვეყანამ თავი შეიკავა.

საქართველომ მხარი დაუჭირა ეუთოს „მოსკოვის მექანიზმის“ ამოქმედებას, საქართველო გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციის თანასპონსორია, რომელიც რუსეთს უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიისთვის პასუხისმგებლობას აკისრებს.

საქართველომ მხარი დაუჭირა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2022 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციისთვის მინისტრთა კომიტეტსა და საპარლამენტო ასამბლეაში წარმომადგენლობითი უფლებების შეჩერების შესახებ.

საქართველომ მხარი დაუჭირა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2022 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებას ევროპის საბჭოდან რუსეთის ფედერაციის დაუყოვნებლივ გარიცხვის შესახებ, საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, რომლებმაც უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების მოთხოვნით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) პროკურორს მიმართეს.

საქართველო არის გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის პროექტის მთავარი თანასპონსორი, რუსეთის ფედერაციისათვის გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს (HRC) წევრობის უფლების შეჩერების შესახებ მსოფლიოს 191 ქვეყანას შორის — საქართველო იკავებს პირველ ადგილს უკრაინაში გაგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთების ოდენობის მიხედვით.

საქართველო აგრძელებს არა მხოლოდ რეზოლუციების, არამედ ქმედითი პრაქტიკული შესაძლებლობებით უკრაინისა და უკრაინელი ხალხის გვერდში დგომას.

რამდენიმე დღის წინ ბრიუსელის კვლევითი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ამჟამინდელი კვლევა, რომელსაც ელენე ხოშტარია თაოსნობდა, განსხვავდება შარშან ჩატარებული კვლევისგან.

ხოშტარიას გავლენით კვლევაში პოლიტიკური მიკერძოების ხარისხი დიდია. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაცია არაარჩეული, არაანგარიშვალდებული ოლიგარქის, ბიძინა ივანიშვილის ხელშია.

თითქმის იგივე ნარატივს უერთდება რომან გოცირიძეც და სიხარულით აცხადებს — ამავე კვლევით საქართველო დემოკრატიის ხარისხით ჩამორჩება უკრაინასაც და მოლდოვასაცო.

„ქვეყანა ვითარდება დემოკრატიულად, ჩვენი ოლიგარქი კი კულისებიდან მართავს ქვეყანას და რუსი ოლიგარქის ინტერესებს არის დამორჩილებული ხელისუფლების ყველა შტო“, — აცხადებს რომან გოცირიძე.

ეს არის მორიგი შეტევა ხელისუფლებაზე, რადგან არცერთი ზემოთ მოყვანილი გარემოება ფაქტებით არ დასტურდება.

პოლიტიკური დავალება — ძირი გამოუთხარონ სახელმწიფოს, დააზიანონ მისი იმიჯი „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური დღის წესრიგისთვის შეუქცევადი პროცესია. მოლალატეობრივი პოლიტიკა დიდი ფულის სანაცვლოდ, ეს „ნაციონალური მოძრაობის“ კრიმინალური პოლიტიკური საძმოს არჩევანია, რალა თქმა უნდა, ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკური ნარატივით“, — წერს მეგრელიშვილი.

ომმა ქართული პროდუქციის ექსპორტს არგო!

ქვეყანას საუკეთესო მაჩვენებლები აქვს

2022 წლის იანვარ-აპრილში საქართველომ უცხოეთში 1.58 მილიარდი დოლარის ღირებულების საქონელი გაიტანა ექსპორტზე, რაც წინა წელთან შედარებით 33%-ით მეტია. ეს შთამბეჭდავი მაჩვენებელია მით უფრო იმ ფონზე, როდესაც რეგიონში ომია და სავაჭრო ურთიერთობები ქვეყნებს შორის გართულებულია.

მიუხედავად ყველაფრისა, ექსპორტის დინამიკა ძალიან დამაიმედებელია. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ევროკავშირში საქართველომ 275 მლნ-ის ღირებულების საქონელი გაიტანა, რაც მთლიანი ექსპორტის 17.3% იყო. წინა წელთან შედარებით, ევროკავშირში ექსპორტი 64 მლნ დოლარით არის გაზრდილი.

ქვეყნების მიხედვით, პირველ ადგილზეა ჩინეთი, სადაც საქართველომ 290 მილიონი დოლარის საქონელი გაიტანა, ეს მთლიანად ევროკავშირში ექსპორტზე მეტია.

მეორე ადგილს იკავებს აზერბაიჯანი, მესამეს კი რუსეთი. მიმდინარე წელს რუსეთში ექსპორტმა მხოლოდ 0.4%-ით იკლო და 156 მილიონი დოლარი შეადგინა. ბევრად უფრო მეტად — 46%-ით არის შემცირებული საქართველოს ექსპორტი უკრაინაში.

წელს საექსპორტო ქვეყნების ათეულში პირველად მოხვდა პერუ, რომელიც მერვე პოზიციას იკავებს. ეს კი 60 მილიონი დოლარის ღირებულების აზოტოვანი სასუქების ექსპორტმა განაპირობა.

საერთოდ კი მთავარი საექსპორტო ქვეყნების ათეული შემდეგნაირად გამოიყურება:

1. ჩინეთი — 290 მილიონი დოლარი, მატება წინა წელთან 46%;

2. აზერბაიჯანი — 168 მილიონი დოლარი, მატება წინა წელთან 11%;

3. რუსეთი — 156 მილიონი დოლარი, კლება წინა წელთან 0.4%;

4. ბულგარეთი — 129 მილიონი დოლარი, მატება წინა წელთან 51%;

5. თურქეთი — 128 მილიონი დოლარი, მატება წინა წელთან 23%;

6. სომხეთი - 109 მილიონი დოლარი, მატება წინაწელთან 102%;

7. აშშ — 88 მილიონი დოლარი, მატება წინა წელთან 130%;

8. პერუ — 62 მილიონი დოლარი, მატება წინა წელთან 1842%;

9. უკრაინა — 53 მილიონი დოლარი, კლება წინა წელთან 46%;

10. ყაზახეთი — 42 მილიონი დოლარი, მატება წინა წელთან 198%.

ჩინეთში საქართველოს ძირითადი საექსპორტო საქონელი სპილენძის მადნები და კონცენტრატებია, რაც ამ ქვეყანაში ექსპორტის 82%-ია. აზერბაიჯანში კი საქართველოს ძირითადი სავაჭრო საქონელი მსუბუქი

ავტომობილებია, იანვარ-აპრილში საქართველომ აზერბაიჯანში სულ 69 მილიონი დოლარის ავტომობილები გაიტანა.

ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და რეფორმების დეპარტამენტის უფროსის, **ვახტანგ ცინცაძის** თქმით, აპრილში ადგილობრივი ექსპორტის 16-პროცენტიანი ზრდა დასტურდება, ხოლო იანვარ-აპრილის მონაცემებით, ადგილობრივი ექსპორტი 37 პროცენტზე მეტად არის გაზრდილი და ნომინალურ გამოხატულებაში 1,207 მლნ დოლარს აჭარბებს. ამავე დროს, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ქართული პროდუქცია კონკურენტულია არა მხოლოდ შიდა, არამედ საერთაშორისო ბაზრებზეც.

„ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს სწორედ ადგილობრივი წარმოების სტიმულირება წარმოადგენს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და მოსახლეობის შემოსავლების ზრდას“, — აღნიშნავს დეპარტამენტის უფროსი.

საქართველომ ექსპორტის მოცულობა განსაკუთრებით პანდემიის შემდეგ მოახერხა. 2020 წლიდან მონაცემები სულ უფრო პოზიტიურია. აკადემიკოსი **ავთანდილ სილაგაძე** აცხადებს, რომ თუ წარმოებაზე ორიენტირებული ეკონომიკა გვექნება, ქვეყანა აუცილებლად გაძლიერდება. ექსპორტის ზრდას ჯაჭვური ეფექტი აქვს. ასეთ დროს ვითარდება წარმოება და იქმნება სამუშაო ადგილები.

„ეკონომიკური თვალსაზრისით, როდესაც ექსპორტი იზრდება, ბუნებრივია, მტკიცდება და მყარდება ურთიერთობები. ექსპორტი დამატებით ვალუტის შემოტანას უწყობს ხელს, მაგრამ გარდა შემოსავლებისა, უმჯობესდება დასაქმების მაჩვენებელი. ყველაფერი კი მთლიანობაში, ეკონომიკის გამყარებას და განვითარებას უწყობს ხელს, ანუ აღნიშნული საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია. ამიტომ, ცენტრალური და პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს, საექსპორტო დარგების განვითარება.

თუ ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა გვექნება, ქვეყანა აუცილებლად გაძლიერდება. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა. ის, რომ საქართველოს ექსპორტი უნდა გაიზარდოს, არის და უნდა იყოს ჩვენი მთავარი მიზანი. ქვეყანაში შემოვა თანხა დიდი რაოდენობით, რაც თავისთავად ცხადია, რომ ეკონომიკის სიძლიერისთვის მნიშვნელოვანია“, — განაცხადა სილაგაძემ.

გეძა დანელია

აფხაზეთის დღე და „მთვარის მოტაცება“

აფხაზეთის დღესთან დაკავშირებით დიმიტრი ჯაიანის სახელობის დარბაზში სოხუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა სპექტაკლი „მთვარის მოტაცება“ წარმოადგინა.

სპექტაკლი რეჟისორ გოჩა კაპანაძის მიერ კონსტანტინე გამსახურდიას ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით დაიდგა და მასში ცნობილი ქართველი მსახიობები მონაწილეობდნენ.

სპექტაკლის ჩვენებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი, აფხაზეთის მთავრობის წევრები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, კულტურის სფეროს წარმომადგენლები და დევნილი საზოგადოება ესწრებოდნენ.

მიეძღვნა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დღეს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგანმანათლებლო პროექტ „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის“ ფინალურ ტურში 38 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლის მოსწავლეებმა ონლაინრეჟიმში დაწერეს ესე თემაზე „პირველი რესპუბლიკის გამოცდილება – საქართველოს გზა ევროპისკენ“. 10 გამარჯვებული მონაწილე გუშინ გამოვლინდა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ ეროვნული არქივის საგანმანათლებლო პროექტს საფუძველი 2015 წელს ჩაეყარა. ამ დრომდე მასში 850-მდე საჯარო და კერძო სკოლის 4600-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა. მსოფლიო პანდემიის გამო ბოლო ორი წელია, პროექტი ესეების კონკურსის ფორმატით ტარდება. საქართველოს ეროვნული არქივი პროექტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებს.

მელნისმეზღაპრის პროზა და პოეზია,

ანუ ინტერნეტ-სივრციდან ბეჭდურ მედიაში გადმონაცვლება

გია დანელიას ლექსებსა და შემდგომ, მოგვიანებით, მოთხრობებს ქართველი მკითხველი თანამედროვე ინტერნეტსივრციდან იცნობს (ინტერნეტგვერდი „Merieli“). მკითხველ-შემფასებელიც მრავლად ჰყავს (ღმერთმა უმრავლოს!) და მომწონებელიც. თავიდან პოეზიით გატაცებული (პოეზიაც მისი ცხოვრების ადრიან დასაწყისში შემოვიდა, როგორც თავად აღიარებს) გახლდათ და ერთგულ შემფასებელს ერთი „სადიდო“ და ერთიც საბავშვო კრებული მოუმზადა. შემდგომ პოეზიას პროზაც მოჰყვა და შესანიშნავი მოთხრობებითაც დაგვატკბო.



„თითოეულ ჩვენგანს შეუძლია ცხოვრებისგან მცირე რამის სწავლა... ცხოვრება მართლაც რომ დიდი მასწავლებელია და ასე დღითი დღე ივსებოდა ჩემი პროზაული „ნადავლი“ ახალი თემებით, მოგონებებით, განცდებით, სიხარულითა და ტკივილებითაც“, – გრძანებს ახლა უკვე ინტერნეტსივრციდან ჩვეულებრივ წიგნებად გამოცემული პოეზიისა და პროზის ორი კრებულის ავტორი და მართლაც საოცარ სამყაროში გვამოგზაურებს თავისი „შემოქმედებითი შემოდგომის“ ჩათვლით.

დიახ, წლეულს გაბედა და გამომცემლობა „მერიდიანის“ საშუალებით პოეტ-პროზაიკოსმა **გია დანელიამ** ორი შესანიშნავი წიგნი გვაჩუქა – **„ძახილი სიყრმის“** (ლექსების კრებული) და **„შემოდგომისპირის მოთხრობები“.**

„ლექსის მადლს შეჩვეული კალამი პროზაულ სტრიქონსაც რომ გადასწვდა, გულიც ზედ მიჰყვა და ასე შემოვიდა ჩემში პროზა“, – ეს ამონარიდი მოთხრობების კრებულის წინასიტყვაობიდანაა, სადაც მკითხველს იმის გამოც სთხოვს პატიებას, რომ იქნებ სათქმელი, როგორც განზრახული მქონდა, ისე ვერ მოგაწოდეთო. არადა, ისე შესანიშნავად, პოეტურად, გასაგებად და ლამაზადაა თექვსმეტივე მოთხრობა ჩვენამდე, ანუ მკითხველამდე მოწოდებული, რომ მართლაც გათავისებული გაქვს, თითქოს შენია, შენ გადაგხდენია, ანდაც იმ გმირებთან ერთად გიცხოვრია, რომლებიც ასე მოფერებით მოიტანა ჩვენამდის. სატკივარი, პრობლემები და ყოველდღიურობა (გინდ – წარსულისა და გინდაც – დღევანდელობის) ლამაზი იუმორისა და თხრობის წყალობით იმ პერიოდში და ზუსტად იმ ადგილზე გამყოფვებს, რომელშიც მოთხრობების გმირები ცხოვრობენ. თითოეული მოთხრობა მინისცენარია ფილმისა, რომელიც ერთად რომ აკინძო, ჩვენი ყოფაა, ოღონდ გია დანელიას თვალით დანახული და გრწყინვალედ გადმოცემული, ვიდრე მისი ცხოვრებისეული ან გაგონილ-მოგონილი. თავისთავადაც ხომ ესაა მწერლობა, როდესაც სრულიად უცხო ადამიანს კითხვისას იმ სამყაროში გადაანაცვლებს და მცირე ხნით აცხოვრებს კიდეც, რომელიც თავადვე შექმნა.

დანარჩენი თავად განსაჯეთ, როცა „მელნისმეზღაპრის“ ამ ლამაზ კრებულებს წაიკითხავთ და ავტორთან ერთად **„იხეტიალებთ მისი პოეზიისა და პროზის ხმაურიანი გილიკებით“.**

ბედნიერი ყოფილიყოს ამ საინტერესო მწერლის ინტერნეტსივრციდან ბეჭდურ მედიაში გადმოგარგება.

მე ვიხეტიალე, არ დავღლილვარ, მომეწონა და კვლავაც ვიხეტიალებ გია დანელიას გმირებთან ერთად, რომლებიც, ალბათ, ახალ გამოცემებში დაგვხვდებიან.

მამუკა ვაშაკიძე

ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 17 მაისის №1-1/217 ბრძანების შესაბამისად

ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულ კომისის 2018 წლის 23 აგვისტოს №66/18 გადაწყვეტილებისსაფუძველზე,ახორციელებს 35 კვ ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზის „საგარეჯო3“-ის გაძარცვული ნუბნის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტს.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება განაპირობა მოხმარების ზრდის შედეგად სს „ენერგო-პროჯორჯიას“ ელექტროგადამცემი ხაზების გადატვირთვამ და საკმარისი თავისუფალი სიმძლავრის არარარსებობამ. პროექტით გათვალისწინებულია ქ/ს 35/10 კვ. პატარძეულის და ქ/ს35/10კვ სართიჭალის დამაკავშირებელი 35 კვ. საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზის გაძარცვული უბნის რეაბილიტაცია, 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „საგარეჯო 2“-ის და ელექტროგადამცემი ხაზის „საგარეჯო 3“-ის გადაერთება და ერთ საჰაერო ელექტროგადამცემ ხაზად „საგარეჯო 2“-ად გადაქცევა.

პროექტის დანიშნულებაა სიმძლავრეების დეფიციტის მართვის და ელექტროენერგიის ხარისხის პარამეტრების გაუმჯობესება. შედეგად, რეგიონში მოხერხდება ელექტროენერგიის გაზრდილი მოთხოვნის დამაყოფილება. აგრეთვე, უზრუნველყოფილი იქნება ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოება. ამდენად, პროექტს გააჩნია სახელმწიფოებრივი და სოციალური დატვირთვა და მის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს ენერგოსისტემის პერსპექტიული განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

ზ/ხსენებული პროექტის ფარგლებში, ეგხ-ის ანძის პოლიგონის ტერიტორიაზე, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შემდეგი მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის აუცილებლობა:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფელ სართიჭალაში მდებარე შპს „კარტლის მენეჯმენტის“ (ს/კ 205100326) საკუთრებაში არსებულ 48947.00 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.12.22.343) ნაწილის - 24 კვ.მ-ის;

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფელ სართიჭალაში მდებარე ნელი ჭუმბაშვილის (პ/ნ 01003010998) საკუთრებაში არსებულ 98414.00 კვ. მ. ფართის მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.12.20.573) ნაწილის - 19 კვ.მ-ის.

აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, შპს „თი ჯი აი ეი ჯი აუდიტესკორტი“-ს შეფსების ანგარიშით განსაზღვრული ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეებს მიეწოდა ინფორმაცია, რომ მათი უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და 35 კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „საგარეჯოს 3“-ის გაძარცვული უბნის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ მათი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა მესაკუთრეებთან, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის 1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2022 წლის 17 მაისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **№1-1/217 ბრძანება** „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა შემდეგ ქონებაზე:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ სართიჭალაში მდებარე შპს „კარტლის მენეჯმენტის“ (ს/კ 205100326) საკუთრებაში არსებულ 48947.00 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთის **(ს/კ 81.12.22.343)** ნაწილზე **- 24 კვ.მ-ზე;**

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ სართიჭალაში მდებარე ნელი ჭუმბაშვილის (პ/ნ 01003010998) საკუთრებაში არსებულ 98414.00 კვ. მ. ფართის მიწის ნაკვეთის **(ს/კ 81.12.20.573)** ნაწილზე **- 19 კვ.მ-ზე.**

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს ხანებში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

◎ თანამშრომლობა

შევირგოთ ნობათი!

უეფამ „ჰეთ-თრიკის“ დახმარების პროგრამა 2004 წელს დააარსა და ამ პერიოდში ევროპულ ფეხბურთში თითქმის 2,5 მილიარდი ევროს ინვესტიცია განახორციელა, მათ შორის ბევრი პროექტი — საქართველოშიც.

ახლახან ვენაში გამართული უეფას 46-ე კონგრესის დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ეროვნული ფედერაციებისთვის განკუთვნილი აღნიშნული სადონორე დაფინანსება 14-დან 17 მილიონ ევრომდე გაიზრდება, რაც 2024-2028 წლებში „ჰეთ-თრიკის სოლიდარობისა და განვითარების პროგრამის“ ჯამური ბიუჯეტის 21 პროცენტით მატებას გულისხმობს (წელიწადში — 4, 25 მილიონი).

ბუნებრივია, მომავალი სუბსიდირება მიზნობრივია და მხარს უჭერს თითოეულ ასოციაციას საგანმანათლებლო იდეების ხორცშესხმაში, მასობრივი ფეხბურთის განვითარებაში, სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებაში, როგორც მსაჯთა, ისე მწვრთნელთა მომზადებასა და საფეხბურთო ინფრასტრუქტურის (მოედნები, სტადიონები, საწვრთნელი ბაზები, შტაბ-ბინები) მშენებლობის დასპონსორებაში.

დავძენთ, რომ ეს უკვე დასახელებული პროგრამის მე-6-ე ციკლია და კონკრეტულ აქტივობებზე 935 მილიონი ევროს გამოყოფის ეკვივალენტია (წინა ციკლთან შედარებით — 160 მილიონით მეტი).

◎ მაგალითი

მივბაძოთ კუნძულელებს!

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საფუძვლიანად დაინტერესდა საფეხბურთო ინფრასტრუქტურით და დიდი წვლილი შეიტანა ახალი 33 სტადიონის მშენებლობაში, კვიპროსული კლუბები პოპულარული ევროტურნირების ჯგუფურ რაუნდში არაერთხელ მოხვდნენ.

აღსანიშნავია, რომ ოფიციოზი ისეთ სეგმენტზეც ზრუნავს, როგორიცაა 1974 წელს თურქეთთან კონფლიქტის შედეგად ლტოლვილად ქცეული გუნდები, მათ შორის თემურ ქეცბაიას მიერ ფეხზე დაყენებული ფამაგუსტას „ანორთოსისი“, რომელიც დროებით ლარნაკას 12-ათასიან სარბიელზეა დაბანაკებული.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, არენების ლიცენზირების ორგანომ ახლახან დასახელებული მტკივნეული საკითხი თვით ქვეყნის პრეზიდენტის წინაშე წამოჭრა და ოპერატიულად მოწვეულ სხდომაზევე გადაწყდა, რომ შესაბამისი სტადიონების მოდერნიზებისთვის 150 000 ევრო გამოიყოს, უფრო ადრე კი პირველი კლასის 6 საფეხბურთო არენის განახლების პროექტის ღირებულება 40 მილიონ ევროდ იყო შეფასებული.

დაგვეთანხმებით, რომ მისაბაძი მაგალითია საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებისათვის, რადგან აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა კლუბები, მათ შორის ყიფიანის თასის ორგზის მფლობელი „გაგრა“ ხან სადაა შეფარებული და ხან — სად.

◎ საუკუნის თანატოლი

ყველაფერი გვახსოვს

ძართული კალათბურთი საუკუნისა მოიყარა, ერთ თვეში მისი დიდგორის — ჩემპიონთა ლიგაში თბილისის „დინამოს“ მიერ შობილი ძლევაი საკვირველის 60 წლის იუბილეს ვიზეიმებთ, ადრეულ შემოდგომაზე კი ევრობასკეტს ვუმასპინძლებთ.

დაგვეთანხმებით, საკმარისი საბაბია საიმისოდ, რომ აღნიშნული საეტაპო მნიშვნელობის მოვლენათა თაიგული აღიარებული მწერლისა და სამშობლოში ინგლისური ემიგრაციიდან დაბრუნებული მონატრებული კოლეგა — მეგობრის **გიო ახვლედიანის** სტრიქონებით დავამშვენოთ. მართალია, გულშემატკივარი შემოთავაზებულ სტატიაში მტკივნეულ თემასაც შეხვდება, მაგრამ მაშინაც, როცა იგი დაიწერა, გასული ასწლეულის მიწურულსაც და დღესაც, ავტორიც და ჩვენც ვხელმძღვანელობთ აქსიომით: სათქმელი უნდა ითქვას!

მაშ ასე:

ნეისმიტი ვერ იფიქრებდა - ოდესღაც კალათბურთი თამაში იყო

ფიზკულტურის მასწავლებელი ნეისმიტი რომ კედელზე კალათს აჭედებდა, სულაც არ ფიქრობდა იმაზე, რომ ჯავშანჟილეტი დასჭირდებოდა. იმ დროს ჯავშანჟილეტი არც არსებობდა. ერთადერთი მსაჯი თავად ნეისმიტი იყო და მოწაფე — მოთამაშეები თავიანთ მოძღვარს ხომ არ შემოჰკრავდნენ ხელს?

კედელზე რომ კალათს აჭედებდა, ნეისმიტმა არ იცოდა, რომ არსებობს კავკასიის ქედი და ამ ქედზე მოფენილია ძველისძველი ქვეყანა საქართველო, რომელიც კალათის კედელზე მიჭედებიდან ასი წლის შემდეგ დამოუკიდებელ ქვეყნად იქცევა და კალათბურთის სიყვარულის გამოისობით ეროვნულ ჩემპიონატსაც ჩაატარებს.

ბატონ ნეისმიტს, ამ პატიოსან კაცს, იმის წარმოდგენაც გაუჭირდებოდა, რომ ქვეყნად ფლეი-ოფი იარსებებდა და იმის კი — ასჯერ მეტად, რომ საქართველოშიც ენბიეური წესით ჩატარდებოდა ეს ფლეი-ოფი.

მოძღვართმოძღვარმა ნეისმიტმა არც ის იცოდა, რომ ქართული ფლეი-ოფი და, საერთოდ, დამოუკიდებელი ქართული კალათბურთი მაყურებელს შეიძენდა და გუნდებს თავიანთი ქომაგები ეყოლებოდათ.

და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნეისმიტი არ ფიქრობდა კრივისა და კალათბურთის იდუმალ კავშირზე კავკასიის მხარეში. აბა, როგორ იფიქრებდა, რომ ერთ დარბაზში ოქტაგონისა და კალათბურთის შეჯიბრებები მონაცვლეობით ჩატარდებოდა და კალათბურთი მებრძოლებს დაესესხებოდა ფანდებს?

ოდესღაც კალათბურთი თამაში იყო და ქართველებსაც უყვარდათ ეს თამაში.

დღეს კალათბურთი არის ბრძოლა წესების გარეშე და ძნელად რომ დაინტერესდეს კაცი, მსაჯია მართალი თუ მოთამაშე. მთავარია, რომ ჩვენს კალათბურთში მუშტი-კრივი დამკვიდრდა. ამდენი წელიწადია ცდილობდა და საბოლოოდ დაიმკვიდრა თავი მუშტმა.

მაგალითად ენბიეი მოჰყავთ — როდმანიო, აივერსონიო, აგერ ჯორდანმაც თავში დაჭრა ბურთი მოწინააღმდეგესო. ჰოდა კაი ფულსაც გამოვა, როდმანისა არ იყოს. თანაც, ენბიეი, ჰეი, ენბიეიო! სადა ბანაობთ?

ნეისმიტს ეგონა, რომ თუ კაცი წესებს ისწავლის მსაჯიც კარგი გამოვა. აბა, იმ სულიკურთხეულმა რა იცოდა, რომ მსაჯს სპრინტსა და კრივშიც სჭირდება ვარჯიში.

ან კი რა იცოდა, რომ ყველაზე წყნარი კალათბურთელიც კი, გოლიათური, კეთილი იერისა, იმგვარად აბობოქრდებოდა, რომ ტანხმელ რეფერის მუშტებს დააყრის?

ასე იყო და, ალბათ, ასეც იქნება.

მნიშვნელობა აღარ აქვს, ვინ დაიწყო ჩხუბი და რატომ.

მთავარია, რომ ჩხუბი დაიწყო და გრძელდება!

და დაისჯებიან. სასამართლო ექსპერტიზებით და მთელი ამბებით.

ნეისმიტი რომ ჩაქუჩს უკაკუნებდა, ასეთი სიტყვებისა არაფერი გაეგებოდა. საუცხოო რამ გამოიგონა, კალათი მიაჭედა კედელს. ჩვენს კალათბურთს კი, რახან დაუმოყვრდა, უწესო ბრძოლის მსაჯები უფრო გამოადგება. იმათ ჯანიც გამორჩეული აქვთ და გაქცევასაც არსად აპირებენ. უფრო სწორად კი, მუშტითვე შეუძლიათ პასუხი. ცოდვა გამხელილი სჯობს და საკალათბურთო მსაჯები ნელ-ნელა კი ემგვანებიან ოქტაგონის მსაჯებს. ერთი-ორი ისეთიცაა, მოთამაშე და მაყურებელი რომ ვერაფერს გაუბედავს, რადგან საკადრის ხურდას მიიღებს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რა შუაშია აქ კალათბურთი?

როგორ არა!

შუაში კი არა, თავშია.

კალათბურთი ხომ ოდესღაც თამაში იყო ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე.

მთავარი სირთულე ის კი არ არის, რომ ჩხუბი ხდება. მთავარი სირთულეა, რომ ჩხუბი და მსაჯების ცემა წესად დამკვიდრდა. ამბობენ მსაჯებს გამოცდილება და კვალიფიკაცია აკლიათო. კარგით და ამიტომ უნდა გაილახონ?

თუ კვალიფიკაცია აკლიათ, რაღატომ აწვალებენ ამ ხალხს, რატომ უშვებენ მოედანზე?

სხვა არა გვყავსო.

სხვა თუ არა გყავს, ჩემპიონატი რაღა საჭიროა?

იმისთვის, რომ კალათბურთი არ მოკვდესო.

და მუშტის ცემით მოკვდება კალათბურთი თუ ისე, რაღა მნიშვნელობა აქვს? მუშტებს მაინც ნუ დავადევნებთ.

ეჰ, ოდესღაც კალათბურთი თამაში იყო.

ნეისმიტი კი ვერც წარმოიდგენდა, როგორ უნდა გადაიქცეს თამაში ჩხუბად.

მოკლედ

საძართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის ლიგა-2-დან ცალკეული მატჩების შედეგებზე თაღლითური ფსონებით ზეგავლენის მოხდენის გამო მოიხსნენ ზუგდიდის „დინამო“ და თბილისის „შევარდენი—1906“.

გარდა ამისა, ორივე კლუბი დაჯარიმდა 10 000-10 000 ლარით და დაქვეითდა ერთი საფეხურით დაბალ დივიზიონში, ხოლო ცალკეულ მოთამაშეებს დაეკისრათ კონკრეტული სანქციები.

* * *

გაირკვა, რომ ევრობასკეტის თბილისურ ჯგუფში უკრაინაში შეჭრის გამო მოკვეთილი რუსეთის ნაკრების ნაცვლად მონტენეგროს გუნდი ითამაშებს.

რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს, აგრესორი ქვეყნის წარმომადგენლებთან პირველ ჯგუფურ რაუნდში ნაჩვენები შეხვედრების შედეგები გაუქმდა, რის შედეგადაც „ჯვაროსანთა“ მეტოქეები მეორე ეტაპზე ავტომატურად გახდნენ ნიდერლანდები, ისლანდია და იტალია.

* * *

საძართველოს ჩემპიონი ვაჟ ფრენბურთელთა შორის ზედიზედ მესამედ გახდა „ცაგერი“ (მთავარი მწვრთნელი — **თემურ ჭაბუკიანი,** მწვრთნელი — **დავით ლიპარტელიანი,** კლუბის დირექტორი — **გია სილაგაძე,** მხარის რწმუნებული — **პაპუნა მარგველიძე,** მუნიციპალიტეტის მერი — **გიორგი ნემსაძე**).

განახლებულ საკუთარ დარბაზში ლეჩხუმელებმა ნახევარფინალში „ყვარელს“ სძლიეს — 3:0, ფინალში კი სტუ-ს სტუდენტები დაამარცხეს — 3:1.

„ცაგერის“ შემადგენლობა: **გურეშიძე, ჩხოლარია, გორდაძე, ზაქაიძე, ბუზალაძე, მელაძე, მეშველიანი, კვირიკაშვილი, ჩაკვეტაძე, გოგავა, ჩხაიძე, ჩოხელი, ზაქარაია, გეჯაძე.**

* * *

საკალათბურთო ევროლიგა ზედიზედ მეორედ მოიგო თურქულმა „ეფესმა“, რომელმაც ფინალში მადრიდის „რეალს“ სძლია — 58:57.

* * *

დიდი წარმატებით იასპარეზეს საქართველოს წარგზავნილებმა ამ დღეებში გამართულ პარასპორტსმენთა ოფიციალურ ფორუმებში.

ეტლით მოსარგებლე პარამოფარიკავეთა მსოფლიოს თასის გათამაშებაში, რომელსაც ტაილანდმა უმასპინძლა, ოქროს მედლები ტოკიოს პარაოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონმა **ნინა თიბილაშვილმა** (ხმალი) და ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა (რაპირა) მოიპოვეს **ირმა ხეცურიანის, ნინა თიბილაშვილისა** და **გვანცა ზადიშვილის** შემადგენლობით (მთავარი მწვრთნელი — **მალხაზ მესხი**).

ასევე „ჯვაროსანთა“ ტრიუმფით დასრულდა მანჩესტერში გამართული ევროპის პირველობა პარატაეკვანდოში, სადაც ჩვენი გუნდის რვავე წევრი საპატიო კვარცხლბეკზე ავიდა (3 „ოქრო“ და 5 „ბრინჯაო“!.

* * *

ესპანურ მალაგაში დამთავრებული იუნიორ ძიუდოისტთა ევროპის თასის მფლობელი ილეთის დაუთმობლად გახდა 18 წლის **გიორგი სარდალაშვილი,** რომელიც რამდენიმე დღის წინათ ევროპის ძიუდოს კავშირმა გასული წლის „ამომავალ ვარსკვლავად“ დაასახელა (იგი შარშან მსოფლიოს ჩემპიონი და კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი იყო).

* * *

ნიკოლოზ ბასილაშვილმა „როლან გაროსის“ სტარტზე წაგებული ბრძოლა შემოუტრიალა ამერიკელ მაქსიმ კრესს — 3:2 0:2-ის შემდეგ (3:6, 2:6, 7:6, 6:4, 6:4, 7 ეისი) და მეორე წრეში ასევე ამერიკელ მაკენზი მაკდონალდსს შეხვდება.

კვალი ნათელი

კიდევ ერთი მეგობარი დავკარგეთ...

გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი და პუბლიცისტი ალექსანდრე (ალეკო) შენგელია

მართლაც საოცარი, იშვიათი ადამიანი იყო, მთელი ცხოვრება სულ ახლის ძიებაში გაატარა და სწორედ ამიტომაც მიენიჭა რამდენჯერმე წლის საუკეთესო ჟურნალისტის წოდება, ასევე მინიჭებული ჰქონდა ჟურნალისტური და სახელმწიფო პრემიები.

უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მან კარგა ხანს იმუშავა ქართულ ტელევიზიაში. იმჟამინდელი თაობიდან, ალბათ, ბევრს ახსოვს ფრიად გახმაურებული გადაცემები — „კაკაბეთის ზარები“, „მოიპარეს ბიჭები“ და კიდევ არაერთი სხვა. ტელევიზიამდე გაზეთ „თბილისის“, როგორც იტყვიან, „ქოჩორზე მოტრიალე“ ჟურნალისტი იყო, შემდეგ გადადის ქუთაისში და გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი ხდება. ამ თანამდებობაზე 12 წელიწადი იღვაწა. პარალელურად იყო საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ალეკო შენგელიამ დააარსა დამოუკიდებელი გაზეთი — „სარკმელი საქართველოსი“, რომლის ფურცლებზეც მართლაც კრიტიკულ სიტყვას აბატონებდა.

გამოჩენილმა ჟურნალისტმა ალეკო შენგელიამ იმ „სარკმლიდან“ დაანახვა ბევრი რამ ქუთაისის საზოგადოებას და ქუთაისიდან წასულ ქართველ ებრაელებს.

ეს გაზეთი იყო ორი უძველესი ერის ძმობისა და მეგობრობის ნამდვილი მატიანე.

ბოლო წლები, უკვე 21-ე საუკუნეში, ალეკო შენგელია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტია იმერეთში და კვლავ ხიშტს გატოლებული კალმით იბრძვის ახალი, დამოუკიდებელი საქართველოსთვის. ებრძვის ყოველგვარ სიმახინჯეს, ყოველგვარ ურიგმარიგობას და როგორც კალმოსანს, ყოველთვის მართალი საქვეყნო პოზიცია უჭირავს. ალეკო ბუნებით პოეტიც იყო და მკითხველთ უთუოდ ახსოვთ მისეული პატარა, მაგრამ სხარტი კაფია-წკიპურტები, თითქმის მკაცრი ფელეტონური ძალისა.

დღე არ იყო, რომ არ დაერეკა, რამე მასალა არ გადმოეცა და კოლეგები არ მოეკითხა. გარდაცვალების წინა დღესაც დარეკა, მაგრამ სხვა დღეებისგან განსხვავებით, ამჯერად საოცრად სევდიანი ხმა ჰქონდა. გუშინ ისე ცუდად ვიყავი, კინალამ წერილი წავიღეო. რა თქმა უნდა, დავამშვიდეთ, გავამხნევეთ — დახიე ეგ წერილიო, ქრისტეს ნათლული არავინ არის, ადამიანი ხან ისეა, ხან ასეო, ვუთხარით. მაგრამ ის მაინც თავისაზე იდგა — ჩემი მამა-პაპა ყველანი 88 წლისანი აღესრულნენ და, ალბათ, ჩემი დროც მოვიდაო. მართლაც, მეორე დილით ალეკოს ქალიშვილმა და შვილიშვილმა რედაქციაში დარეკეს და ეს მძიმე ამბავი გვაცნობეს.

მწერლის შემოქმედებისგან განსხვავებით ჟურნალისტის შემოქმედება თითქოს დროშია გაფანტული და მეტი პატრონობა უნდა. იმედია, ალეკო შენგელიას უთუოდ საყურადღებო ჟურნალისტურ ნაღვაწს, პუბლიცისტიკას, პოეზიას, განსაკუთრებით ეპიგრამულ-სატირულს, გამოუჩნდება ასეთი პატრონი და მომავალი ახალი ჟურნალისტური თაობებისთვის სამაგალითო გახდება იმ თვალსაზრისით, თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს გონიერი და ღონიერი კალმოსანი თავის ქვეყანასა და ხალხს.

მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო, შენი სახელი აუცილებლად საპატიოდ ჩაიწერება ძართული ჟურნალისტიკის და, კერძოდ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის ისტორიაში.

მეგობრები

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“

ალბათ, სიმბოლურია, რომ სამშობლოს წინაშე ფრიად დამსახურებულ ალეკო შენგელიას ხვალ, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ქუთაისში დაკრძალავენ.

გულითად სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებული მეგობრის დამწუხრებულ ოჯახს.

ჩვენი ალეკოც წავიდა!

აი, ვინ იყო ნაღდი, პროფესიონალი ჟურნალისტი! საქმისთვის თავდადებული, დაუღალავი, სიმართლისათვის შეუპოვარი მებრძოლი, პატრიოტი, მოქალაქე და მოღვაწე!

გაზეთ „თბილისის“ პირველი თაობა!

ტელევიზიაში მე გადმოვიბირე. კრისტალური პატიოსნების კაცს ყველაზე ფაქიზი თემების გაშუქებას ვანდობდი.

სხვა ღირსეულ კოლეგებთან ერთად ბევრი ოფლი დაღვარა „კაკაბეთის ზარების“ მომზადებისას... ქურდობისა და ნარკომანიის წინააღმდეგ გაჩაღებული სატელევიზიო ომისას... „მოიპარეს ბიჭები“... „გზა ჯოჯოხეთისკენ“... „გიორგი ყორიაული“... და არაერთი სხვა გადაცემის გამო ერთ-ერთმა პირველმა დაიმსახურა იმ დროს, ტელერადიოჟურნალისტიკაში ახალდაარსებული სახელმწიფო პრემია.

ჩემი უახლოესი მეგობარი და კოლეგა ალეკო შენგელია მართლაც საამაყო კაცი გახლდათ.

გულწრფელი სამძიმარი შვილებს, ახლობლებს!

ნუგზარ ფოფხაძე

უნდა ვიცოდეთ...

ალექსანდრე შენგელია!

ერთ დროს ქუხდა ეს სახელ-გვარი! გაზეთ „ქუთაისის“ მთავარი რედაქტორის; საქართველოს ტელევიზიის ჟურნალისტის; მახვილკალმიანი პუბლიცისტის... მისი მგზნებარე პროტესტებიც გვახსოვს; სიმართლესავით მწარე ეპიგრამებიც...

* * *

არ ვიცი, როგორ პატივს მიაგებს მშობლიური ქუთაისი.

ეს კი ზუსტად ვიცი:

„კაკაბეთის ზარების“ ავტორი გამორჩეულ დაფასებას იმსახურებს საქართველოს პირველი არხისგან, ანუ საზოგადოებრივი მაუწყებლისგან.

* * *

უნდა ვიცოდეთ იმათი ფასი, ვინც ჩვენამდე იყო და ქართული ჟურნალისტიკის ღირსებას საბჭოთა ტოტალიტარიზმის ეპოქაშიც იცავდა.

იმ ეპოქაში, როცა უფრო წვიმდა, ვიდრე ქუხდა.

იოსებ ჟუმბურიძე

თამაზ შილაკაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

რობერტ (ლერმანი) ლეკიშვილი

და თანაუგრძნობს ოჯახის წევრებს და სანათესაოს.

ლანა კუპრაშვილი, ანზორ ჭითანავა ვუსამძიმრებთ მძინარიშვილების ოჯახს, ბატონ

ლეონარდ მძინარიშვილის

გარდაცვალების გამო.

ლამარა თაქთაქიშვილი, ირაკლი კალანდაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლეონარდ მძინარიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ეს გზა ტაძრამდე მიდის...

წინარეხი-ძვათახევის საავტომობილო გზის 5 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს, — ამის შესახებ ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, სარეაბილიტაციო მონაკვეთი კასპის მუნიციპალიტეტში მდებარეობს და სოფელ წინარეხიდან ქვათახევის სამონასტრო კომპლექსამდე მიდის. აღნიშნული გზის გამართულად ფუნქციონირება, მოსახლეობისთვის, ტურისტული თვალსაზრისით და მომლოცველებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ ამ გზაზე აქამდე არასდროს ყოფილა ასფალტის საფარი.

რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებულია გზის საფარისა და ხელოვნური ნაგებობების მოწყობა. რეაბილიტირდება ხიდი მდ. კავთურაზე. მოეწყობა ადგილობრივ გზებთან მიერთებები და ავტოსადგომი. განხორციელდება საგზაო ნიშნების მოწყობისა და გზის სავალი ნაწილის მონიშვნის სამუშაოები.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 3.6 მლნ ლარამდეა. სამუშაოების დასრულება მიმდინარე წლის ბოლოს იგეგმება.

25-28 მაისს რიკოთის გვირაბში ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეიზღუდება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 143-ე კილომეტრზე მდებარე რიკოთის საავტომობილო გვირაბში, პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების მიზნით, 2022 წლის 25, 26, 27 და 28 მაისის 00:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე იკრძალება ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების 23 ფაქტი გამოვლინდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ხეტყის უკანონო ტრანსპორტირებისა და ჭრა-ტრანსპორტირების 23 ფაქტი გამოავლინეს.**

9 სამართალდარღვევა გამოვლენილია კახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ; 5 სამართალდარღვევა გამოავლინეს ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა; ასევე 5 სამართალდარღვევა გამოავლინეს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმაც. 3 სამართალდარღვევა გამოვლინდა აღმოსავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ; 1 სამართალდარღვევა კი, გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურის თანამშრომლებმა კახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად გამოავლინეს. ამოღებულია სხვადასხვა სახეობის 203 ერთეული მრგვალი ხე-ტყე (მორი), 27 კუბურ მეტრამდე მოცულობის ხე-ტყე (საშეშე მერქანი, კოტრი) და 6,3 კუბური მეტრი მოცულობის პირველადი გადამუშავების პროდუქტი (ფიცარი).

გულიდან წამოსულ ხმას თუ გონება არ წარმართავს, ეს ხმაც უაზრო ხდება!..

ყველა მუსიკოსმა თავის თითოეულ გამოსვლაზე, თითოეულ ნოტზე, თითოეულ აუღერებულ სიმღერაზე აუცილებლად უნდა აგოს პასუხი, — ამის შესახებ მომღერალმა თამრიკო გვერდწითელმა გადაცემაში „ნოესთან“ განაცხადა. მან რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ომისადმი მუსიკოსების დამოკიდებულებაზე ისაუბრა.

„ხმა გულიდან ამოდის, მაგრამ თუ გონება არ წარმართავს, ეს ხმაც უაზრო ხდება. ვუსურვებდი ყველა მომღერალს, ვინც ხმით არის დაჯილდოებული, თავისი ხმა სიკეთისთვის გამოეყენებინოთ, ჰიმნები ემღეროთ სიკეთისთვის, მშვიდობისთვის. როგორც ქალმა, მინდა ვთქვა, რომ ახლა ერთადერთი რაც გვაღელვებს, არის ის, რომ არ გაგრძელდეს (ომი) და დამკვიდრებულიყოს მშვიდობა, იმიტომ რომ მშვიდობაზე ძვირფასი არაფერია“, — აღნიშნავს გვერდწითელი.

მაესტრო ფარაჯანოვის სამეზობლო

ფარაჯანოვის სახლში სერგო ფარაჯანოვის და სოფიკო ჭიაურელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

საღამოზე რეჟისორ ხოსე მარჯინერეს დოკუმენტური ფილმის „მაესტრო ფარაჯანოვის სამეზობლო“ პრემიერა შედგა. ფილმში ფარაჯანოვის ოთხი მეზობელი მონაწილეობს.

„ამ ფილმში ოთხი მეზობელი გადავიღეთ, რომელთა მონაყოლის მიხედვით, მაყურებელს შეუძლია აღიდგინოს ამ ადამიანის, სერგო ფარაჯანოვის პორტრეტი. ჩვენ გვინდა, რომ დღევანდელი საღამო დავუკავშიროთ სერგო ფარაჯანოვს და სოფიკო ჭიაურელს. მოგეხსენებათ, ისინი მეგობრებიც იყვნენ, კოლეგებიც და შემოქმედებითად ერთად იღვწოდნენ“, — განაცხადა რეჟისორმა ხოსე მარ ჯინერმა.

დონ ჟუანი თბილისის ცირკში

თბილისის ცირკში რეჟისორ საბა ასლამაზიშვილის სპექტაკლის „დონ ჟუანი“ პრემიერას მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფორმაციით, სპექტაკლი სამინისტროს მხარდაჭერით დაიდგა.

„პროექტის განმახორციელებელია დამოუკიდებელი თეატრალური კომპანია „ხვლიკი“, პროექტის მენეჯერი — ია კელერმანი.

„დონ ჟუანი“ მუსიკალურად გააფორმეს კონსტანტინე ეჯიბაშვილმა და ვახტანგ გვახარიამ, მხატვარი გახლდათ ბარბარა ასლამაზი, ხოლო მსახიობები: ვლადიმერ ვაშაკიძე, მარიამ ბალახაძე, ანიკო შურლაია, ენდი ძიძავა, გივიკო ბარათაშვილი, გიორგი მაქაძე, თორნიკე კაკულია, გაგა არაბული, ლუკა ახალაძე, კონსტანტინე ეჯიბაშვილი, ანდრია ვაჭრიძე“, — აცხადებენ სამინისტროში.

ზალიკო... კანის ფესტივალზე



კანის კინოფესტივალის დაწყებამდე მხატვარსა და კარიკატურისტს ზალიკო სულაკაურს ცნობილი კინოვარსკვლავების დახატვის სურვილი გაუჩნდა, რათა ვარსკვლავები გაემხიარულებინათ და საქართველოდან მათთვის ასეთი ხუმრობა გაეგზავნათ.

რამდენიმე ვარსკვლავს სულაკაურის მიერ შექმნილი კარიკატურა კანში, მათ მიერ გამართულ პრესკონფერენციებზე გადაეცა. სამმა დიდებულმა მსახიობმა ქალმა საქართველოდან ეს საჩუქრები მიიღო.

უხუცესმა სტუდენტმა უნივერსიტეტი დაამთავრა

აშშ-ში, მერილენდის შტატში, 82 წლის მეი ბილიმ ბაკალავრის დიპლომი აიღო.

ქალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა, როგორც ლიცენზირებული მედდა, თუმცა, საბოლოოდ, გადაწყვიტა, რომ ბიზნესის მენეჯმენტი აინტერესებდა და სტუდენტი გახდა.

„აღფრთოვანებული და ბედნიერი ვარ, თავს ენერგიულად ვგრძნობ“, — ამბობს ქალი.

სასამართლოში პროცესი მოიგო, წვეულებაზე რად არ დამპატიჟესო...

დიდ ბრიტანეთში ქალმა კოლეგებს სასამართლოში უჩივლა იმის გამო, რომ წვეულებაზე არ დაპატიჟეს.

51 წლის რიტა ლეერი კაზინოში მოლარედ მუშაობდა. ის აცხადებდა, რომ კოლეგები ყოველთვის თავს არიდებდნენ მას, რის გამოც ქალი სტრესში იყო. სასამართლოში მან განმარტა, რომ ცოტა ხნის წინ კოლეგებმა წვეულების მოწყობა გადაწყვიტეს, ის კი არ დაპატიჟეს, ისინი მისი თანდასწრებით გეგმავდნენ ღონისძიების დეტალებს და არ ზრუნავდნენ მის გრძნობებზე. ლეერი ერთადერთი თანამშრომელი იყო, ვინც წვეულებაზე არ დაპატიჟეს.

ამასთან, წვეულება კაზინოს თანამშრომლებისთვის მოწყობილი ოფიციალური ღონისძიება იყო. ლეერმა სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა და კოლეგებს სასამართლოში უჩივლა. მან შეძლო იმის დამტკიცება, რომ ის სამსახურში ასაკობრივი და რასობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდა. სასამართლომ დაადგინა, რომ კოლეგებმა ქალს მორალური ზიანის აღმოფხვრის მიზნით 74 114 ფუნტი სტერლინგი უნდა გადაუხადონ.

პრინცი ჩარლზი და მისი მეუღლე — ბრიტანულ სერიალში

ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე, უელსის პრინცი ჩარლზი და მისი მეუღლე, კორნუოლის ჰერცოგინია კამილა ცნობილი ბრიტანული სერიალის „ისთ ენდის მცხოვრებლები“ ეპიზოდში გამოჩნდებიან.

შოუს სერია, რომელშიც სამეფო ოჯახის წარმომადგენლები გადაიღეს, დედოფალ ელისაბედ მეორეს ტახტზე ასვლის იუბილესადმი არის მიძღვნილი. ჩარლზი და კამილა სერიალის გმირებს მაშინ შეუერთდებიან, როდესაც ისინი დედოფლის ტახტზე ასვლის 70-ე წლისთავის აღსანიშნავად ქუჩაში წვეულებას მოაწყობენ. წყვილმა სცენები ჯერ კიდევ მარტში გადაიღო, ეპიზოდი BBC-ს ეთერში 2 ივნისს გავა.

„ისთ ენდის მცხოვრებლები“ საპნის ოპერაა, რომელიც ლონდონის გამოგონილ ოლქში მცხოვრებ ადამიანებზე მოგვითხრობს. სერიალი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელეპროგრამაა ბრიტანეთში. მისი პირველი სერია ეკრანებზე ჯერ კიდევ 1985 წელს გამოვიდა. დღეის მდგომარეობით, ეთერში შოუს 6 490 სერია გავიდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალი №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8767; ევრო - 3.0677
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6172;
100 რუბლი - 4.9280; თურქული ლირა - 0.2063;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6956;
1000 სომხური დრამი - 6.3555.

ამინდი 25 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+17
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+17
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge